# ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №35
2019 წლის 20 დეკემბერი

დაბა ასპინძა

### ასპინძის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის და 91-ე მუხლის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“ 78-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

### თავი I
### ასპინძის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის მაჩვენებლები

**მუხლი 1.** ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | | | 2020 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | სულ | | | მათ შორის | |
| | სულ | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| **შემოსულობები** | 9 386,7 | 9 250,5 | 4 322,0 | 4 928,5 | 7 316,0 | 2 437,9 | 4 878,1 |
| შემოსავლები | 9 078,4 | 9 240,5 | 4 322,0 | 4 918,5 | 7 306,0 | 2 437,9 | 4 868,1 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 308,3 | 10,0 | 0,0 | 10,0 | 10,0 | 0,0 | 10,0 |
| **გადასახდელები** | 8 215,0 | 11 227,7 | 4 550,2 | 6 677,5 | 7 316,0 | 2 437,9 | 4 878,1 |
| ხარჯები | 3 287,4 | 4 928,2 | 621,4 | 4 306,8 | 4 377,6 | 0,0 | 4 377,6 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 4 927,5 | 6 299,5 | 3 928,8 | 2 370,7 | 2 901,4 | 2 437,9 | 463,5 |
| ვალდებულებების კლება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 37,0 | 0,0 | 37,0 |
| **ნაშთის ცვლილება** | 1171,7 | -1977,2 | -228,2 | -1749,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |

**მუხლი 2. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

| | 2018 | | |
|---|---|---|---|

| დასახელება | წლის ფაქტი | 2019 წლის ფაქტი | | | 2020 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | მათ შორის | | | მათ შორის | |
| | სულ | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 9 078,4 | 9 240,5 | 4 322,0 | 4 918,5 | 7 306,0 | 2 437,9 | 4 868,1 |
| გადასახადები | 4 060,4 | 4 262,5 | 0,0 | 4 262,5 | 3 528,1 | 0,0 | 3 528,1 |
| გრანტები | 4 399,4 | 4 448,0 | 4 322,0 | 126,0 | 3 317,9 | 2 437,9 | 880,0 |
| სხვა შემოსავლები | 618,7 | 530,0 | 0,0 | 530,0 | 460,0 | 0,0 | 460,0 |
| ხარჯები | 3 287,4 | 4 928,2 | 621,4 | 4 306,8 | 4 377,6 | 0,0 | 4 377,6 |
| შრომის ანაზღაურება | 947,2 | 1 192,9 | 0,0 | 1 192,9 | 1 217,6 | 0,0 | 1 217,6 |
| საქონელი და მომსახურება | 726,8 | 1 175,8 | 81,8 | 1 094,1 | 1 139,8 | 0,0 | 1 139,8 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| პროცენტი | 46,7 | 48,0 | 0,0 | 48,0 | 25,0 | 0,0 | 25,0 |
| სუბსიდიები | 1 194,4 | 1 365,1 | 0,0 | 1 365,1 | 1 423,7 | 0,0 | 1 423,7 |
| გრანტები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 227,4 | 258,5 | 0,0 | 258,5 | 299,0 | 0,0 | 299,0 |
| სხვა ხარჯები | 144,9 | 887,9 | 539,6 | 348,3 | 272,5 | 0,0 | 272,5 |
| საოპერაციო სალდო | 5 791,0 | 4 312,3 | 3 700,6 | 611,7 | 2 928,4 | 2 437,9 | 490,5 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 4 619,2 | 6 289,5 | 3 928,8 | 2 360,7 | 2 891,4 | 2 437,9 | 453,5 |
| ზრდა | 4 927,5 | 6 299,5 | 3 928,8 | 2 370,7 | 2 901,4 | 2 437,9 | 463,5 |
| კლება | 308,3 | 10,0 | 0,0 | 10,0 | 10,0 | 0,0 | 10,0 |
| მთლიანი სალდო | 1 171,8 | -1 977,2 | -228,2 | -1 749,0 | 37,0 | 0,0 | 37,0 |
| ფინანსური აქტივების ცვლილება | 1 171,8 | -1 977,2 | -228,2 | -1 749,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ზრდა | 1 171,8 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 1 171,8 | 0,0 | | | 0,0 | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სესხები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სხვა დებიტორული დავალიანებები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| კლება | 0,0 | 1 977,2 | 228,2 | 1 749,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 0,0 | 1 977,2 | 228,2 | 1 749,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სესხები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სხვა დებიტორული დავალიანებები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ვალდებულებების ცვლილება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | -37,0 | 0,0 | -37,0 |
| ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| საგარეო | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| საშინაო | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| კლება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 37,0 | 0,0 | 37,0 |
| საგარეო | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| საშინაო | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 37,0 | 0,0 | 37,0 |
| ბალანსი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |

## თავი II
## ასპინძის მუნიციპალიტეტის შემოსავლები

## მუხლი 3. ასპინძის მუნიციპალიტეტის შემოსავლები

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 7 306,0 ათასი ლარის ოდენობით:

| | დასახელება | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | | | 2020 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | მათ შორის | | | მათ შორის | |
| | | სულ | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| 1 | შემოსავლები | 9 078,4 | 9 240,5 | 4 322,0 | 4 918,5 | 7 306,0 | 2 437,9 | 4 868,1 |
| 2 | გადასახდელები | 4 060,4 | 4 262,5 | 0,0 | 4 262,5 | 3 528,1 | 0,0 | 3 528,1 |
| 3 | გრანტები | 4 399,4 | 4 448,0 | 4 322,0 | 126,0 | 3 317,9 | 2 437,9 | 880,0 |
| 4 | სხვა შემოსავლები | 618,7 | 530,0 | 0,0 | 530,0 | 460,0 | 0,0 | 460,0 |

## მუხლი 4. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 3 528,1 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება | კოდი | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | | | 2020 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | მათ შორის | | | მათ შორის | |
| | | სულ | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| გადასახადები | 11 | 4 060,4 | 4 262,5 | 0,0 | 4 262,5 | 3 528,1 | 0,0 | 3 528,1 |
| საშემოსავლო გადასახადი | | 124,5 | 0,0 | | | 0,0 | | |
| ქონების გადასახადი | 113 | 3 935,8 | 3 600,0 | 0,0 | 3 600,0 | 2 700,0 | 0,0 | 2 700,0 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113111 | 3 736,7 | 3 568,0 | | 3 568,0 | 2 663,0 | | 2 663,0 |
| უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113112 | 0,0 | 0,0 | | | 0,0 | | |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113113 | 0,6 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე | 1131131 | 0,0 | 0,0 | | | 0,0 | | 0,0 |
| არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქოენბაზე | 1131132 | 0,6 | 0,0 | | | 0,0 | | |
| საქართველოში რეგისტრირებულ მსუბუქ ავტომობილებზე | 1131133 | 0,0 | 0,0 | | | 0,0 | | |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველოში რეგისტრირებულ იახტებზე (კატარღებზე) | 1131134 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| საქართველოში რეგისტრირებულ თვითმფრინავებზე | 1131135 | 0,0 | 0,0 | | | 0,0 | | |
| საქართველოში რეგისტრირებულ შვეულმფრენებზე | 1131136 | 0,0 | 0,0 | | | 0,0 | | |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 113114 | 161,3 | 30,0 | 0,0 | 30,0 | 30,0 | 0,0 | 30,0 |
| ფიზიკურ პირებიდან | 1131141 | 159,1 | 25,0 | | 25,0 | 25,0 | | 25,0 |
| იურიდიულ პირებიდან | 1131142 | 2,3 | 5,0 | | 5,0 | 5,0 | | 5,0 |
| არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 113115 | 37,2 | 2,0 | 0,0 | 2,0 | 7,0 | 0,0 | 7,0 |
| ფიზიკური პირებიდან | 1131151 | 2,4 | 1,0 | | 1,0 | 2,0 | | 2,0 |
| იურიდიული პირებიდან | 1131152 | 34,8 | 1,0 | | 1,0 | 5,0 | | 5,0 |
| სხვა გადასახადები ქონებაზე | 1136 | 0,0 | 0,0 | | | 0,0 | | |
| სხვა გადასახადები | 116 | 0,0 | 662,5 | | 662,5 | 828,1 | | 828,1 |

## მუხლი 5. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის გრანტები 3 317,9 ათასი ლარის ოდენობით:

| დასახელება | კოდი | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | | | 2020 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | მათ შორის | | | მათ შორის | |
| | | სულ | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| გრანტები | 13 | 4 399,4 | 4 448,0 | 4 322,0 | 126,0 | 3 317,9 | 2 437,9 | 880,0 |
| სხვა დონის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 133 | 169,0 | 0,0 | | | 0,0 | | |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 133 | 4 230,4 | 4 448,0 | 4 322,0 | 126,0 | 3 317,9 | 2 437,9 | 880,0 |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები | 1311 | 526,0 | 517,8 | 391,8 | 126,0 | 880,0 | 0,0 | 880,0 |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | | 400,0 | 0,0 | | | 0,0 | | |
| სპეციალური ტრანსფერი | | | | | | 750,0 | | 750,0 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული | | 126,0 | 207,8 | 81,8 | 126,0 | 130,0 | | 130,0 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| უფლებამოსილების განსახორციელებლად | | 126,0 | 207,8 | 81,8 | 126,0 | 130,0 | | 130,0 |
| ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად | | 0,0 | 310,0 | 310,0 | | 0,0 | | |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | 1312 | 3 704,4 | 3 930,2 | 3 930,2 | 0,0 | 2 437,9 | 2 437,9 | 0,0 |
| რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი | | 3 704,4 | 3 626,2 | 3 626,2 | | 2 437,9 | 2 437,9 | 0,0 |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | | 0,0 | 304,0 | 304,0 | | 0,0 | | |

## მუხლი 6. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 460,0 ათ.ლარის ოდენობით:

| დასახელება | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | | | 2020 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | მათ შორის | | | მათ შორის | |
| | სულ | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | სულ | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| სხვა შემოსავლები | 618,7 | 530,0 | 0,0 | 530,0 | 460,0 | 0,0 | 460,0 |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 506,1 | 443,0 | 0,0 | 443,0 | 380,0 | 0,0 | 380,0 |
| პროცენტები | 119,8 | 23,0 | | 23,0 | 10,0 | | 10,0 |
| დივიდენდები | 0,0 | 0,0 | | | 0,0 | | |
| რენტა | 386,3 | 420,0 | 0,0 | 420,0 | 370,0 | 0,0 | 370,0 |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | 358,2 | 420,0 | | 420,0 | 370,0 | | 370,0 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | 28,1 | 0,0 | | | 0,0 | | 0,0 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 35,4 | 27,0 | 0,0 | 27,0 | 30,0 | 0,0 | 30,0 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 31,0 | 27,0 | 0,0 | 27,0 | 30,0 | 0,0 | 30,0 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 0,8 | 2,0 | | 2,0 | 5,0 | | 5,0 |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | 0,2 | 0,0 | 0,0 | | 0,0 | | |
| ადგილობრივი მოსაკრებელი | | | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | 29,9 | 25,0 | 0,0 | 25,0 | 25,0 | | 25,0 |
| არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება | 4,4 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან | 0,0 | 0,0 | | | 0,0 | | |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | 4,4 | 0,0 | | | 0,0 | | |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 38,0 | 50,0 | | 50,0 | 50,0 | | 50,0 |
| შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები | 39,2 | 10,0 | | 10,0 | 0,0 | | |

## თავი III
## ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

### მუხლი 7. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს ასპინძის მუნიციპალიტეტის ხარჯები 4 377,6 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

| ორგ. კოდი | დასახელება | 2018 წლის ფაქტი | | | 2019 წლის გეგმა | | | 2020 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| | ხარჯები | 3 287,4 | 0,0 | 3 287,4 | 4 928,2 | 621,4 | 4 306,8 | 4 377,6 | 0,0 | 4 377,6 |
| | შრომის ანაზღაურება | 947,2 | 0,0 | 947,2 | 1 192,9 | 0,0 | 1 192,9 | 1 217,6 | 0,0 | 1 217,6 |
| | საქონელი და მომსახურება | 726,8 | 0,0 | 726,8 | 1 175,8 | 81,8 | 1 094,1 | 1 139,8 | 0,0 | 1 139,8 |
| | პროცენტი | 46,7 | 0,0 | 46,7 | 48,0 | 0,0 | 48,0 | 25,0 | 0,0 | 25,0 |
| | სუბსიდიები | 1 194,4 | 0,0 | 1 194,4 | 1 365,1 | 0,0 | 1 365,1 | 1 423,7 | 0,0 | 1 423,7 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 227,4 | 0,0 | 227,4 | 258,5 | 0,0 | 258,5 | 299,0 | 0,0 | 299,0 |
| | სხვა ხარჯები | 144,9 | 0,0 | 144,9 | 887,9 | 539,6 | 348,3 | 272,5 | 0,0 | 272,5 |

### მუხლი 8. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 2 891,4 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 2 901,4 ათასი ლარის

ოდენობით, თანდართული რედაქციით:`

| დასახელება | 2018 წლის ფაქტი | | | 2019 წლის გეგმა | | | 2020 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 48,1 | 0,0 | 48,1 | 353,2 | 16,3 | 336,9 | 247,0 | 0,0 | 247,0 |
| თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 4 589,7 | 3 574,4 | 1 015,3 | 4 582,2 | 2 839,0 | 1 743,2 | 2 639,4 | 2 437,9 | 201,5 |
| დასუფთავება და გარემოს დაცვა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| განათლება | 5,3 | 0,0 | 5,3 | 832,6 | 587,4 | 245,2 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი | 283,0 | 0,0 | 284,4 | 19,1 | 0,0 | 19,1 | 15,0 | 0,0 | 15,0 |
| მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 512,4 | 486,1 | 26,3 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| სულ ჯამი | 4 927,5 | 3 574,4 | 1 353,1 | 6 299,5 | 3 928,8 | 2 370,7 | 2 901,4 | 2 437,9 | 463,5 |

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 10,0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

| დასახელება | 2018 წლის ფაქტი | | | 2019 წლის გეგმა | | | 2020 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| არაფინანსუ- რი აქტივების კლება | 308,1 | 0,0 | 308,1 | 10.0 | 0,0 | 10.0 | 10,0 | 0,0 | 10,0 |
| ძირითადი აქტივები | 13,4 | | 13,4 | 0,0 | | | 0,0 | | |
| არაწარმოებული აქტივები | 294,9 | 0,0 | 294,9 | 10,0 | 0,0 | 10,0 | 10,0 | 0,0 | 10,0 |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | |
| მიწა | 294,9 | | 294,9 | 10,0 | | 10,0 | 10,0 | | 10,0 |

**მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

**ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფუნქციონალური კლასიფიკაცია**

| ფუნქც. კოდი | დასახელება | 2018 წლის ფაქტი | | | 2019 წლის გეგმა | | | 2020 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| 701 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 1 435,0 | 0,0 | 1 435,0 | 2 183,4 | 16,3 | 2 167,1 | 2 120,5 | 0,0 | 2 120,5 |
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 1 435,0 | 0,0 | 1 435,0 | 2 183,4 | 16,3 | 2 167,1 | 2 120,5 | 0,0 | 2 120,5 |
| 70111 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 1 388,3 | 0,0 | 1 388,3 | 2 084,4 | 16,3 | 2 068,1 | 1 993,5 | 0,0 | 1 993,5 |
| 70112 | ფინანსური და ფისკალური საქმიანობა | 46,7 | 0,0 | 46,7 | 99,0 | 0,0 | 99,0 | 127,0 | 0,0 | 127,0 |
| 7015 | გამოყენებითი კვლევები საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7016 | ვალთან დაკავშირებული ოპერაციები | 46,7 | 0,0 | 46,7 | 99,0 | 0,0 | 99,0 | 90,0 | 0,0 | 90,0 |
| 702 | თავდაცვა | 65,1 | 0,0 | 65,1 | 91,8 | 0,0 | 91,8 | 97,4 | 0,0 | 97,4 |
| 704 | ეკონომიკური საქმიანობა | 4 698,3 | 3 574,4 | 1 123,9 | 4 459,6 | 2 839,0 | 1 620,6 | 2 433,2 | 1 901,7 | 531,5 |
| 7042 | სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა | 136,7 | 0,0 | 136,7 | 737,5 | 304,0 | 433,5 | 250,0 | 0,0 | 250,0 |
| 70421 | სოფლის მეურნეობა | 136,7 | 0,0 | 136,7 | 737,5 | 304,0 | 433,5 | 250,0 | 0,0 | 250,0 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7045 | ტრანსპორტი | 4 561,6 | 3 574,4 | 987,2 | 3 377,3 | 2 220,0 | 1 157,3 | 2 168,2 | 1 901,7 | 266,5 |
| 70451 | საავტომობილო ტრანსპორტი და გზები | 4 561,6 | 3 574,4 | 987,2 | 3 377,3 | 2 220,0 | 1 157,3 | 2 168,2 | 1 901,7 | 266,5 |
| 7049 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში | 0,0 | 0,0 | 0,0 | 344,8 | 315,0 | 29,8 | 15,0 | 0,0 | 15,0 |
| 705 | გარემოს დაცვა | 228,5 | 0,0 | 228,5 | 272,3 | 0,0 | 272,3 | 280,0 | 0,0 | 280,0 |
| 7051 | ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება | 228,5 | 0,0 | 228,5 | 272,3 | 0,0 | 272,3 | 280,0 | 0,0 | 280,0 |
| 706 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 209,6 | 0,0 | 209,6 | 1 349,0 | 539,6 | 809,4 | 836,2 | 536,2 | 300,0 |
| 7061 | ბინათმშენებლობა | 7,3 | 0,0 | 7,3 | 602,0 | 539,6 | 62,4 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7062 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7063 | წყალმომარაგება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 7,3 | 0,0 | 7,3 | 596,2 | 536,2 | 60,0 |
| 7064 | გარე განათება | 161,8 | 0,0 | 161,8 | 324,7 | 0,0 | 324,7 | 220,0 | 0,0 | 220,0 |
| 7065 | გამოყენებითი კვლევები საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7066 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში | 40,5 | 0,0 | 40,5 | 415,0 | 0,0 | 415,0 | 20,0 | 0,0 | 20,0 |
| 707 | ჯანმრთელობის დაცვა | 60,0 | 0,0 | 60,0 | 571,0 | 486,1 | 84,9 | 60,0 | 0,0 | 60,0 |
| 7074 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 60,0 | 0,0 | 60,0 | 58,6 | 0,0 | 58,6 | 59,0 | 0,0 | 59,0 |
| 7075 | გამოყენებითი კვლევები ჯანმრთელობის დაცვის სფეროში | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7076 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში | 0,0 | 0,0 | 0,0 | 512,4 | 486,1 | 26,3 | 1,0 | 0,0 | 1,0 |
| 708 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 857,5 | 0,0 | 857,5 | 655,1 | 0,0 | 655,1 | 691,0 | 0,0 | 691,0 |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 175,8 | 0,0 | 175,8 | 198,6 | 0,0 | 198,6 | 204,0 | 0,0 | 204,0 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 595,1 | 0,0 | 595,1 | 345,5 | 0,0 | 345,5 | 357,0 | 0,0 | 357,0 |
| 7084 | რელიგიური და სხვა სახის | 50,0 | 0,0 | 50,0 | 65,0 | 0,0 | 65,0 | 60,0 | 0,0 | 60,0 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საზოგადოებრივი საქმიანობა | | | | | | | | | |
| 7085 | გამოყენებითი კვლევები დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 7086 | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში | 36,7 | 0,0 | 36,7 | 46,0 | 0,0 | 46,0 | 70,0 | 0,0 | 70,0 |
| 709 | განათლება | 419,7 | 0,0 | 419,7 | 1 379,5 | 669,2 | 710,3 | 497,7 | 0,0 | 497,7 |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 419,7 | 0,0 | 419,7 | 793,9 | 277,4 | 516,5 | 497,7 | 0,0 | 497,7 |
| 7092 | ზოგადი განათლება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 585,6 | 391,8 | 193,9 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 710 | სოციალური დაცვა | 241,3 | 0,0 | 241,3 | 265,0 | 0,0 | 265,0 | 300,0 | 0,0 | 300,0 |
| 7101 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 111,8 | 0,0 | 111,8 | 120,0 | 0,0 | 120,0 | 130,0 | 0,0 | 130,0 |
| 71011 | ავადმყოფთა სოციალური დაცვა | 84,2 | 0,0 | 84,2 | 90,0 | 0,0 | 90,0 | 100,0 | 0,0 | 100,0 |
| 71012 | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 27,6 | 0,0 | 27,6 | 30,0 | 0,0 | 30,0 | 30,0 | 0,0 | 30,0 |
| 7102 | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | 129,5 | 0,0 | 129,5 | 145,0 | 0,0 | 145,0 | 170,0 | 0,0 | 170,0 |
| | სულ | 8 215,0 | 3 574,4 | 4 640,5 | 11 226,7 | 4 550,2 | 6 676,5 | 7 316,0 | 2 437,9 | 4 878,1 |

**მუხლი 10. ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება**

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 37,0 ათასი ლარი ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს სსიპ „მუნიციპალური განვითარების ფონდსა" და ასპინძის მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის" სესხის ძირითადი თანხის დაფარვას.

## თავი IV
## ასპინძის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები

**მუხლი 11. ასპინძის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტები**

**ინფრასტრუქტურის განვთარება**

ასპინძის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია (ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების და ხიდების რეაბილიტაცია), მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია, ასპინძის ქუჩების გარე განათების მთლიანად დასრულება და არსებული ქსელის მოვლა-პატრონობა, ასევე დასუფთავების ღონისძიებები, სარწყავი არხების მშენებლობა-რეაბილიტაცია, აგრეთვე საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა განხორციელდება არსებული

ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 3 269,4 ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | 2020 წლის პროექტი |
|---|---|---|---|---|
| 02 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 4 907,9 | 5 808,6 | 3 269,4 |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია | 4 561,4 | 3 377,3 | 2 168,2 |
| 02 02 | კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 305,8 | 1 478,7 | 1 031,2 |
| 02 02 02 | წყლის სისტემების რეაბილიტაცია ექსპლუატაცია | | 7,250 | 596,2 |
| 02 02 03 | გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 161,8 | 324,7 | 220,0 |
| 02 02 03 01 | ა(ა)იპ გარე განათება | 85,0 | 105,0 | 110,0 |
| 02 02 03 02 | გარე განათების ექსპლუატაცია | 76,8 | 219,7 | 110,0 |
| 02 02 04 | სარწავი არების მოწყობა-რეაბილიტაცია | 136,7 | 200,0 | 200,0 |
| 0 02 05 | ბინათმშენებლობა | 7,3 | 602,0 | |
| 02 02 06 | მდინარის ნაპირსამაგრი სამუშაოები | | 344,8 | 15,0 |
| 02 03 | საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა | 40,5 | 415,0 | 20,0 |
| 02 04 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები | | 537,5 | 50,0 |

| პროგრამის დასახელება | კოდი | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 01 | | 2 168,2 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია- სივრცითი-მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის მიზანია ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის გზების, ქუჩების, და ხიდების რეაბილიტაცია, ასევე რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება, მოხრეშვა, საგზაო მოძრაობის დადგენილი წესების მიხედვით შესაბამისი საგზაო ნიშნების, გადასასვლელებისა და სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების მოწყობა. ზამთრის პერიოდში შიდა გზების ჭარბი თოვლისაგან გათავისუფლება, რაც უზრუნველყოფს ტრანსპორტის და ფეხით მოსიარულეთა უსაფრთხო გადაადგილებას. | | |

| | |
|---|---|
| | პროგრამა ითვალისწინებს ასპინძის მუნიციპალიტეტში შიდა გზების და ქუჩების ა/ბეტონის საფარის და სხვა საგზაო ინფასტრუქტურის მოწყობა. |
| მოსალოდნელი შედეგი | ქუჩების/გზების რეაბილიტაციის შემდეგ შესაძლებელი იქნება, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ასევე ტურისტების უსაფრთხო, შეუფერხებელი და სწრაფი გადაადგილება, რაც დადებით ეკონომიკურ და სოციალურ ეფექტს მოუტანს გზით/ქუჩით მოსარგებლე ბენეფიციარებს. |

| პროგრამის დასახელება | კოდი | წყლის სისტემების რეაბილიტაცია ექსპლუატაცია | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 02 02 | | 596,2 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამა ითვალისწინებს სოფელების სასმელი წყლების მოწყობას: ხიზაბავრის, საროს და ვარგავის სასმელი წყლის ცენტრალური მილსადენის 80% დაზიანებულია. გარკვეულ მონაკვეთებში მოსახლეობისათვის საერთოდ ვერ ხერხდება სასმელ წყლის მიწოდება. აღნიშნული პროექტით მოეწყობა და გამოიცვლება წყლის მაგისტრალი და 4 სათავე ნაგებობა. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | გაკეთდება სტანდარტების შესაბამისად, რაც გამოიწვევს სოციალური პირობების გაუმჯობესებას. | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 02 03 | | 220.0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | მუნიციპალიტეტის მერია და ა(ა)იპ გარე განათება. | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ღამის პერიოდში მუნიციპალიტეტში უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია გარე განათებას. შესაბამისად საჭიროა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულის გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. პროგრამის მიზანია:<br><br>- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ქსელში მწყობრიდან გამოსული ნათურების გამოცვლა;<br>- ამორტიზებული და დაზიანებული განათების ბოძების შეკეთება, შეღებვა;<br>დაზიანებული სადენების აღდგენა შეცვლა.<br>პროგრამა ასევე მოიცავს გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებას | | |
| მოსალოდნელი შედეგი | შექმნილი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გარეგანათების ინფრასტრუქტურა. განათებული ქუჩები.უსაფრთხო გადაადგილებამუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდგრადი გარე განათების სისტემის შექმნა, რომელიც მთელი წლის განმავლობაში, ნებისმიერ კლიმატურ პირობებში შეძლებს უზრუნველყოს გარე განათების სისტემის შეუფერხებელი ფუნქციონირება. შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ის ნაწილი, სადაც მოწყობილია გარე განთება ქსელი განათებული იქნება სრულად, ხოლო პერიოდულად წარმოქმნილი შეფერხებების აღმოიფხვრა მოხდება ოპერატიულად. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის დასახლებული ტერიტორიის სრულად მოცვა გარე განათებით. | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | სარწყავი არხების და სოფლების სასმელი წყლის სისტემის ექსპლუატაცია | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 02 02 04 | | 200.0 |
| პროგრამის | ა(ა)იპ - ასპინძის მელიორაციის და სოფლების სასმელი წყლის ცენტრი | | |

| | |
|---|---|
| განმახორციელებელი სამსახური | |
| ა(ა)იპ ასპინძის მელიორაციისა და სოფლების სასმელი წყლის ცენტრი | ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, გრავიტაციული არხების წმენდითი სამუშაოები გატანისაგან, დროებითი სათავე ნაგებობების რეაბილიტაცია, მილხიდების, დიუკერების და მოპირკეთებული წყალსატარების წმენდა, სადერევაციო არხის წმენდა, სატუმბო სადგურების ძალოვანი აგრეგატების (ტუმბო,ძრავი) მიმდინარე სარემონტო სამუშაოები, ელექტროაღრიცხვის და ელ.მოწყობილობების მიმდინარე რემონტი, სადაწნეო ქსელებზე შესადუღებელი სამუშაოების წარმოება, წყალსაცავზე- შემავსებელი და სამომხმარებლო გრავიტაციული არხების მიმდინარე სარემონტო სამუშაოები , წყალსაცავის ტერიტორიის კეთილმოწყობა და სოფლების სასმელი წყლის მიმდინარე სარემონტო სამუშაოები |
| მოსალოდნელი შედეგი | მელიორაციული ობიექტების მოვლა-პატრონობა და შენახვა.მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული გრავიტაციული არხების,სატუმბო სადგურების, წყალსაცავის და სოფლების სსამელი წყლის ექსპლოატაცია. |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | საპროექტო დოკუმენტაციისა და საექსპორტო მომსახურების შესყიდვა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 03 | | 20,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ასპინძის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა. ამასთან, იმ ხელშეკრულებებზე რომელთა ღირებულება არ აღემატება 50.0 ათას ლარს პროექტის შემდგენი ახორციელებს შესრულებული სამუშაოების ექსპერტიზას. ამ პროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება 50.0 ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.<br>პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი ინფრასტრუტურული პროექტებისათვის დროულად და კვალიფიციურად მოხდეს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა. ასევე, პროექტების განხორციელებისას ჩატარებული სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფა მათზე მუდმივი ზედამხედველობის განხორციელების გზით.<br>პროგრამის თანხების განკარგვა ხორციელდება რეგიონალურ დონეზე ჩატარებული კონსოლიდირებული ტენდერების საშუალებით. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია დროულად და კვალიფიციურად მომზადება; შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მაღალი ხარისხი, ისე რომ იგი აკმაყოფილებდეს პროექტით განსაზღვრულ და ქვეყანაში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სამშენებლო ნორმებს (სტანდერტებს) | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
| | 02 04 | | 50,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ასპინძის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფლების მიერ წარმოდგენილი პროექტების დაფინანსება. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურა სოფლად და პრიორიტეტული პრობლემების გადაჭრა. | | |

## დასუფთავება და გარემოს დაცვა

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს სანიტარიული მდგომარეობის უზრუნველყოფა, აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ქუჩების, ასევე სოფლების, ტროტუარების, სკვერების, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების

ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება, ნარჩენების შეგროვება და გატანა ნაგავსაყრელამდე, რაც გააუმჯობესებს დაბის სანიტარულ და ეკოლოგიურ მდგომარეობას.

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 280,0 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პიორიტეტის მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

| პროგრამის დასახელება | კოდი | დასუფთავების ღონისძიებები | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 03 00 | | 280,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია (შპს კეთილმოწობის სამსახური) | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და შენარჩუნება, დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება.<br><br>პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაბის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, დაბაში არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება, აგრეთვე სოფლების ტერიტორიებზე ნარჩენების შეგროვება და გატანა ნაგავსაყრელამდე, დაბის ცალკეული ტერიტორიების თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დაბაში მოძრაობის აღკვეთა, სასაფლაოს ტერიტორიის მოვლა-პატრონობა, სანიაღვრე არხების გაწმენდა, რაც გააუმჯობესებს დაბის სანიტარულ და ეკოლოგიურ მდგომარეობას. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება, დასუფთვების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება, სუფთა გარემო; | | |

**განათლება**

განათლების სისტემის ფუნდამენტური რეფორმა სკოლამდელი განათლების დონეზე იწყება. მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო მიმართულებები სრულ თანხვედრაში იქნება სახელმწიფოს მიერ დაგეგმილ რეფორმებთან. სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებები რეფორმირდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებად და დაიწყება განათლების ხარისხის ერთიანი სახელმწიფო სტანდარტების დანერგვა, რათა მყარი საფუძველი ჰქონდეთ აღსაზრდელების სასკოლო განათლების მისაღებად მომზადებისთვის. სკოლამდელი განათლების დაწესებულებებში უზრუნველყოფილი იქნება ინკლუზია, აღსაზრდელების უსაფრთხოება და საუკეთესო ინტერესების დაცვა. გაძლიერდება სტანდარტის შესრულების კონტროლი. გაგრძელდება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით ახლი ინფრასტრუქტურის განვითარება და არსებულის გაუმჯობესება.

აღმზრდელ-პედაგოგების ახალი პროფესიული სტანდარტის შესაბამისად ამოქმედდება კადრების მომზადებისა და გადამზადების სისტემა, დაიწყება აღმზრდელისა და აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიების განვითარება, პროფესიაში ახალგაზრდა კვალიფიციური კადრების მოზიდვა.

ასპინძის მუნიციპალიტეტისთვის მომავალი თაობის აღზრდის მიმართულებით, დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება სკოლამდელი განათლების განვითარებას. იგი მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. ამ პროგრამის მიზანია სასკოლო განათლებისათვის ნორჩი აღსაზრდელების მომზადება, მათი ფიზიკური , გონებრივი და ზნეობრივი აღზრდა, შემოქმედებითი შესაძლებლობების და ინტერესების ხელშეწყობა.

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 497,7 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2018 წლის | 2019 წლის გეგმა | 2020 წლის პროექტი |
|---|---|---|---|---|

| | | ფაქტი | | |
|---|---|---|---|---|
| 04 00 | განათლება | 419,7 | 1 379,5 | 497,7 |
| 04 01 | სკოლამდელი განათლება | 419,7 | 793,9 | 497,7 |
| 04 01 01 | ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწეშებულებათა გაერთიანება | 419,7 | 470,5 | 497,7 |
| 04 01 02 | ბაღების რეაბილიტაცია | 0,0 | 323,4 | 0,0 |
| 04 03 | საჯარო სკოლები | 0,0 | 585,6 | 0,0 |
| 04 03 01 | ზოგადი საჯარო სკოლები | 0,0 | 585,6 | 0,0 |

| პროგრამის დასახელება | კოდი | სკოლამდელი განათლება | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 04 01 | | 497,7 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. | | |
| | შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა და ყველა სხვა ღონისძიების გატარება. ასპინძის  მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითდ პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბაგა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ასპინძის  მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 4 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 422-ზე მეტი ბავშვი. საბავშვო  ბაღებში ჯამში დასაქმებულია 74  ადამიანი. მუნიციპალიტეტის 9 სოფლიდან ხორციელდება სკოლამდელი ასაკის ბავშვების უფასო ტრანსპორტირება ასპინძის საბავშვო ბაღებში.  ამჟამად მიმდინარეობს სოფ.ტოლოშის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია - გაფართოება.  საბავშვო ბაღი იყო ერთ ჯგუფიანი. მომავალი სასწავლო წლისათვის აღნიშნული საბავშვო ბაღი  იქნება 3 ჯგუფიანი, სრული დღით. „სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების“ პროგრამის მიზანია: | | |
| | ბაგა-ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, სადაც დაცული იქნება „ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის  მოთხოვნები და საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N488 დადგენილებით დამტკიცებული ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები; | | |
| | ბაგა-ბაღებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისაობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 27 ოქტომბრის  N485 დადგენილებით დამტკიცებული ტექტიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; | | |
| | ბაგა-ბაღებში მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; | | |
| | ბაგა-ბაღებში კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, რომელიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს მთავრობის 2017 წლის 30 ოქტომბრის N487 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის დადგენილ ნორმებთან; | | |
| | ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა–შენახვა; | | |
| | ბაგა-ბაღებში დასაქმებული პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება. | | |
| | ა(ა)იპ ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების თანამშრომელთათვის შესაბამის სამუშაო პირობების შექმნა | | |

| | |
|---|---|
| | |
| მოსალოდნელი შედეგი | ასპინძის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები სააღმზრდელო პროცესის წარმართვისათვის უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები; მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მომსახურებით წლის გამავლობაში სარგებლობს მუნიციპალიტეტში მცხოვრები 450-ზე მეტი შესაბამისი ასაკის ბავშვი, რაც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ამ ასაკის ბავშვების 70%-ს შეადგენს |

## კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ–ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების ჩატარება.

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 691,0 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | 2020 წლის პროექტი |
|---|---|---|---|---|
| 05 00 | კულტურა,რელიგია, ახალ-გაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი | 857,5 | 655,1 | 691,0 |
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 175,7 | 198,6 | 204,0 |
| 05 01 01 | სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა | 5 ,5 | 8, 6 | 9 ,0 |
| 05 01 02 | სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა | 170,2 | 190,0 | 195,0 |
| 05 01 02 01 | სპორტული კლუბი | 9 978 | 0 | 0 |
| 05 01 02 02 | ა(ა)იპ ასპინძის სასპორტო გაერთიანება | 110,3 | 130,0 | 135,0 |
| 05 01 02 03 | ა(ა) იპ სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სარაგბო კლუბი ტაო | 50,0 | 60,0 | 60,0 |
| 05 02 | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 595,1 | 345,5 | 357,0 |
| 05 02 01 | კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა | 595,1 | 345,5 | 357,0 |
| 05 02 01 01 | ასპინძის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი | 10,1 | 0,0 | 0,0 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | |
| 05 02 01 02 | ა(ა) ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებუ-ლებათა<br><br>გაერთიანება კულ-ტურის ცენტრი | 143,8 | 170,0 | 170,0 |
| 05 02 01 03 | მთავარი ბიბლიოთეკა | 60,9 | 65,0 | 65,0 |
| 05 02 01 04 | სახელოვნებო სკოლები | 97,0 | 100,0 | 107,0 |
| 05 02 01 05 | ასპინძის შ.რუსთველის სახე-ლობის სახალხო მუზეუმი | 2,0 | 0 | 0 |
| 05 02 01 07 | კულტურის ობიექტების მშენებლობა | 281,3 | 10,5 | 15,0 |
| 05 03 | ახალგაზრდობის ორგანიზაციების დაფინანსება | 36,6 | 46,0 | 70,0 |
| 05 04 | რელიგია | 50,0 | 65,0 | 60,0 |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სპორტული ღონისძიებები | 2020 წ დაფინანსება<br>ათას ლარებში |
|---|---|---|---|
| | 05 01 02 | | 9,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ასპინძის მუნიციპალიტეტის კულტურის , განათლების, სპორტის,ძეგლთა დაცვის ,ახალგაზრდულ საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახური | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება:<br>მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ორგანიზება და ფინანსური მხარდაჭერა, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, საზოგადოების აქტიური ჩართვა სპორტულ ცხოვრებაში, სპორტული მიღწევების გაუმჯობესება. მუნიციპალიტეტში დაგეგმილ სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისას ურთიერთსაპირისპირო სქესი წარმომადგენლების თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფა.აქედან გამომდინარე სპორტის სახეობების მიხედვით 2020 წელში დაგეგმილი ღონისძიებების უმრავლესობა გათვლილია ამ მიმართულებით - სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება: თასებით, სიგელებით, მედლებით და ფასიანი საჩუქრებით:<br><br>- სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწვრთვნელების ტრანსპორტირებაში დახმარება; პროექტები: სასკოლო სპორტული ოლიმპიადა და სპორტი ბარიერების გარეშე, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ ასპინძის მუნიციპალიტეტის საჯარო და საბაზო სკოლები.<br><br>- მუნიციპალიტეტში სპორტული ღონისძიებების ორგანიზებისათვის პროექტით გათვლილია - სპორტული ინვენტარის შეძენა, სპორტული ღონისძიებეის სამსაჯო მომსახურეობის ხარჯები, სპორტულ ღონისძიებებისათვის სპორტული ფორმების შეძენა. ქვეპროგრამის ფარგლებში 2020 წლისათვის ხორციელდება შემდეგი სპორტული აქტივობები:<br><br>მუნიციპალიტეტის პირველობა მინი-ფეხბურთში - პირველობაზე მონაწილეობას მიიღებენ, ასპინძის მუნიციპალიტეტში მოქმედი ორგანიზაცია - დაწესებულებების, დაბისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სოფლების მოყვარულ ფეხბურთელთა გუნდები. გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებით, თასებითა და დიპლომებით.<br><br>მუნიციპალიტეტის პირველობა ნარდში - პირველობაზე მონაწილეობას მიიღებენ ასპინძის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ნარდის მოყვარული, როგორც კაცები, ასევე ქალები, გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული მონარდეები დაჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებით, თასებითა და დიპლომებით.<br>მუნიციპალიტეტის პირველობა ჭადრაკში - პირველობაზე მონაწილეობას მიიღებენ ასპინძის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ჭადრაკის მოყვარული, როგორც კაცები, ქალები, ასევე ბიჭები და გოგონები გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული მოჭადრაკები დაჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებით, თასებითა და დიპლომებით.<br>მუნიციპალიტეტის პირველობა ფეხბურთში - შეჯიბრება ჩატარდება მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ფეხბურთის მოყვარულთა გუნდების მონაწილეობით პირველობაზე დაიშვებიან 16 წელზე ზევით ასაკის | | |

| | |
|---|---|
| | ფეხბურთის მოყვარულები გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან თასებით, მედლებითა და დიპლომებით. საუკეთესო ნომინაციებში გამოვლენილ მონაწილეებს გადაეცემათ სპეციალური პრიზები. მუნიციპალიტეტის პირველობა ქართულ ჭიდაობაში - ჩატარდება ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. წონით კატეგორიებში გამარჯვებული სპორტსმენები დაჯილდოვდებიან მედლებით, თასებით, სიგელებითა და სპეციალური პრიზებით.<br>მუნიციპალიტეტის ჩემპიონატი მაგიდის ჩოგბურთში -პირველობაზე მონაწილეობას მიიღებენ, ასპინძის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მაგიდის ჩოგბურთის მოყვარულთა შორის . შეჯიბრება ჩატარდება ერთ კატეგორიაში ინდივიდუალურ მონაწილეობას მიიღებენ 16 წელზე ზევით ასკის ორივე სქესის წარმომადგენლები, გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებით, თასებითა და დიპლომებით.<br>მუნიციპალიტეტის პირველობა ფრენბურთში - პირველობაზე ჩატარდება ასპინძის მუნიციპალიტეტში მოქმედი ორგანიზაცია დაწესებულებების, დაბისა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სოფლების მოყვარულ ფრენბურთის მოყვარულ კაცთა და ქალთა გუნდებს შორის . გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებით, თასებითა და დიპლომებით.<br>მუნიციპალური პირველობა ფეხბურთში 7X7-ზე (მერისს თასზე) - პირველობაზე მონაწილეობას მიიღებენ, ასპინძის მუნიციპალიტეტში მცხოვრები, ფეხბურთის მოყვარულთა გუნდები. გამარჯვებული და საპრიზო ადგილზე გასული გუნდები დაჯილდოვდებიან სპეციალური პრიზებით, თასებითა და დიპლომებით.<br>პროგრამის მიზანია: საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოსახლეობის აქტიური ჩართვა სპორტულ ცხოვრებაში, გოგონებისა და ქალების სპორტში ჩართულობის გაზრდა , სპორტული მიღწევების გაუმჯობესება. |
| მოსალოდნელი შედეგი | ჩატარებული მუნიციპალური სპორტული ღონისძიებებით, საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის შესახებ ცნობიერება 50% -60% ითა გაზრდილი , 20-30% გაზრდილია გოგონებისა და ქალების სპორტულ ღონისძიებებში აქტიური ჩართულობა და გაუმჯობესდა სპორტული მიღწევები . |

| პროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ ასპინძის სასპორტო გაერთიანება | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 01 02 02 | | 135,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი | ა(ა)იპ ასპინძისმუნიციპალიტეტის სასპორტო გაერთიანება | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | სპორტული ცენტრი აერთიანებს 5 სპორტულ მიმართელებას, ესენია: ქვეპროგრამის აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს სპორტული სექციები სხვადასხვა სფეროში.(რაგბის,ფეხბურთის, მშვილდოსნობის, ბერძნულ-რომაული ჭიდაობის და ძიუდოს სექციები) სულ ცენტრში სპორტის სახეობებს ეუფლება 155 ბავშვი, ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას ღებულობენ სპორტულ შეჯიბრებეში და ტურნირებში როგორც საქართველოს მასშტაბით ასევე ადგილობრივ ღონისძიებებში<br>- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით.<br><br>ქვეპროგრამის მიზანია სპორტის სახეობათაა განვითრება, სპორტული და გასართობი ღონისძიებების ორგანიზება, ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლების და სპორტში მათი მასობრივად ჩაბმის ხელშეწყობა.<br><br>- ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას;<br>- მეტი მოზარდის ჩართვას სპორტში, რათა ნაკლები დრო დარჩეთ ქუჩისათვის;<br>- მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა თაობის დაინტერესება და ჩართულობის ზრდა სპორტის სფეროში;<br><br>სპორტული განათლების დონის ზრდა. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ სამცხე ჯავახეთის რეგიონალური სარაგბო კლუბი ,,ტაო " | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 01 02 03 | | 60,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ სამცხე ჯავახეთის რეგიონალური სარაგბო კლუბი ,,ტაო" | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შექმნილია სამცხე-ჯავახეთის რეგიონალური სარაგბო კლუბი ,,ტაო“ , რომლის მიზანია რაგბის, როგორც სპორტული, გამაჯანსაღებელი სპორტის პოპულარიზაცია და მისი განვითარების ხელშეწყობა სამცხე-ჯავახეთის მხარეში, ბავშვთა და მოზარდთა რაგბის | | |

| | |
|---|---|
| | განვითრება და პროფესიული რაგბის დამკვიდრება სამცხე-ჯავახეთის მხარეში. |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა თაობის დაინტერესება და ჩართულობის ზრდა რაგბში. |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება-კულტურის ცენტრი | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 02 01 02 | | 170,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება-კულტურის ცენტრი | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ორგანიზაციაში გაერთიანებულები არიან ,,თავისუფალი თეატრი“; ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსაბლი ,,სამცხე“და ქართულ ხალხური ანსაბლი ,,წუნდა“, რომლებიც ცდილობენ აღმოაჩინიონ ნიჭიერი ახალგაზრდები და მოახდინონ მათი პოპულარიზაცია, ასევე ინარჩუნებენ ჩვენი რეგიონისათვის დამახასიათებელ ტრადიციული ძირძველი ნაწარმოებების შენარჩუნებას. პროგრამის ფარგლებში ანსაბლები მონაწილეობენ ადგილობრივ და საერთშორისო ფესტივალებში, გეგმავენ და ატარებენ სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი კულტურული ღონისძიებებს მოსახლეობისათვის.<br><br>ასევე ზემო აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ისტორიულ-კულტურული ძეგლების მინიტორინგს, ტურისტული ბილიკების მოძიება-დაგეგმარებას, ასევე არსებული სამუზეუმო ექსპონანტების მოვლა-პატრონობა, მის რესტავრაციაზე ზრუნვას. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის ახალგაზრდა თაობის დაინტერესება და ჩართულობის ზრდა კულტურის სფეროში; ტურისტებისათვის ეფექტური გარემოს შექმნა. | | |

| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 05 02 01 03 | ა(ა)იპ ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკა | 65,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ - ასპინძის მთავარი ბილიოთეკა | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | საბიბლიოთეკო საქმის ორგანიზება. საბიბლიოთეკო ფონდების შეგროვება, აღრიცხვა-დამუშავება და საკატალოგო მეურნეობის წარმოება საბიბლიოთეკო წესების შესაბამისად, მათი დაცვის უზრუნველყოფა. საცნობარო- ბიბლიოგრაფიული აპარატის სრულყოფა, საბიბლიოთეკო მაჩვენებლების შედგენა და სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა ბაზის შექმნა. ქართული კულტურის მემკვიდრეობის და თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაცია. მოქალაქეთა მომსახურება საბიბლიოთეკო ფონდებით, კატალოგებით, კარტოთეკებით, ელექტრონული რესურსებით, თექნიკური საშუალებებით და ინტერნეტით. საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებების, სპეციალიზირებული სემინარების და ტრენინგების მომზადება ჩატარება, გამოფენების მოწყობა, საინფორმაციო ბაზის შექმნა და სრულყოფა. საბიბლიოთეკო საქმის წარმოება საერთაშორისო სტანდარტების და სახელმწიფო კანონმდებლობის შესაბამისად კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ინფორმაციული ღონისძიებების, შეხვედრების ორგანიზება. ახალგამოცემული წიგნების წარდგენები, ლიტერატურული საღამოები, შემეცნებითი დისკუსიები, ცნობიბლი მწერლების დაბადებისდღისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამოები, ასპინძის შემოქმედ, ღვაწლმოსილ და ცნობილ პიროვნებებთან შეხვედრები, ღირსშესანიშნავი თარიღებისადმი მიძღვნილი საღამოები ,,ბიბლიოთეკის კვირეული, ლექციები, კონფერენციები, სემინარები, საშობაო-საახალწლო შეხვედრები"ასპინძის მთავარი ბიბლიოთეკის სისტემაში შემავალი სოფლად არსებული ბიბლიოთეკები 2007 წლიდან იმყოფება უფუნქციოდ სოფელი; ძველი, ორგორა, ფია, იდუმალა, თოკი, ნაქალაქევი, ნიჯგორი, თმოგვი, მირაშხანი, ხერთვისი ოთა, სახუდაბელი, ვარგავი, ივერია, ჭობარეთი.(15 ბიბლიოთეკა) აღნიშნული ბიბლიოთეკების აღსადგენად გვესაჭიროება 19200 ლარი. მხოლოდ შრომის ანაზღაურებისათვის. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მოსახლეობის ცნობიერების ამაღლება, ჩართულობისა და დაინტერესების ზრდა განახლებული წიგნადი ფონდი და კმაყოფილი მკითხველი. | | |

| | |
|---|---|
| | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა | 2020 წლისდაფინანსება ათას ლარში |
| | 05 02 01 04 | | 107.0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ა(ა)იპ - ვ. მაღრაძის სახელობის ასპინძის სამუსიკო სკოლა | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება, ააიპ ვ. მაღაძის სახელობის ასპინძის სამუსიკო სკოლა.<br>სამუსიკო სკოლაში გაერთიანებულია საფორტეპიანო და საესტრადო მიმართულებები. სამუსიკო სკოლაში დაწყებით სამუსიკო განათლებას იღებს ასპინძის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 130 ბავშვი. სკოლაში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 18 თანამშრომელს. დაფინანსება 100 000 ლარი. პროგრამის ფარგლებში, სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება, ააიპ ვ. მაღრაძის სახელობის ასპინძის სამუსიკო სკოლა ახორციელებს კულტურის მინისტრის 2007 წლის 7 მარტის N3/46 ბრძანებით დამტკიცებული დაწყებითი სამუსიკო–საგანმანათლებლო პროგრამით სწავლებას, ( ხანგრძლივობა 6 წელი). სასწავლო პროგრამის მეშვეობით ხორციელდება ქართველი და უცხოელი კომპოზიტორების ხელოვნების ნიმუშების– მუსიკალური ნაწარმოებების შესწავლა, ასევე კულტურული აქტივობების ორგანიზება: მათ შორის სკოლისა და რაიონის მასშტაბით გამართული ღონისძიებები და ქვეყნის ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა. მნიშვნელოვანია, მოსწავლეთა საშემსრულებლო ტექნიკის განვითარებისათვის კონკურსებსა და ფესტივალებში მათი მონაწილეობა, რისი საშუალებითაც ვლინდება მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები. სკოლის მიზანია, იზრუნოს მოსწავლეთა ესთეტიკური გამოვნების ჩამოყალიბებასა და აქტიური კულტურული მსმენელის ღზრდაზე. მოსწავლეთა და პედაგოგთა ხელშეწყობა– წახალისება სკოლის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია –(კომფორტული სამუშაო გარემოს შექმნა, კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეობა და სხვა მოტივაცია) მათი შემოქმედების დაფასება –(იუბილეები, შეხვედრები, ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და ა.შ.) ასევე აღსანიშნავია სკოლის ჩართულობა ასპინძის მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში და ერთობლივი ღონისძიებების ორგანიზება. სამუსიკო სკოლის სასწრაფოდ მოსაგვარებელი პრობლემაა მუსიკალური ინსტრუმენტების განახლება. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლა წლის განმავლობაში ფუნქციონირებს შეუფერხებლად. სრულად არის დაკმაყოფილებული სამუსიკო დაწყებით განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ (ფინანსური შესაძლებლობების მიხედვით ) ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში. | | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | კულტურის ობიექტების ხელშეწყობა | | | | 2020 წლისდაფინანსება ათას ლარში |
| | 05 02 01 07 | | | | | 15,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია | | | | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავში კლუბის შენობის რეაბილიტაცია. არსებულ შენობას რეაბილიტაცია ჩაუტარდება სტანდარტების შესაბამისად სახურავის შეცვლა, რეაბილიტაცია ფასადის, შიდა სარემონტო სამუშაოების ჩატარება და ეზოს კეთილმოწყობა. | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგი | აღნიშნული შენობა განთავსებულია ტურისტულად მნიშვნელოვან ტერიტორიაზე და რეაბილიტირებული შენობა როგორც ადგილობრივისთვის ასევე ტურისტებისთვის მიმზიდველს გახდის სოფელს. | | | | | |
| მოსალოდნელი შედეგის შეფასების | N | ინდიკატორის აღწერა | საბაზისო მაჩვენებელი | მიზნობრივი მაჩვენებელი | ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) | განმარტება |
| | 1 | შენობის- | 1 შენობა | 621კვ.მეტრი | 10% | |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინდიკატორი | | ფართობი | | | | |
| | 2 | განახლებული შენობა | კეთილმოწყობილი გარემო | კულტურის ხელშეწყობა | 10% - დამოკიდებულია გარემო პირობებზე (ამინდი) | |

| | | | |
|---|---|---|---|
| ქვეპროგრამის დასახელება | კოდი | ახალგაზრდული ორგანიზაციების დაფინანსება | 2020 წლისდაფინანსება ათას ლარში |
| | 05 03.02 | | 70,0 |
| ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის,განათლების,სპორტის,ძეგლთა დაცვის, ახალგაზრდული საქმეთა და ტურიზმის განვითარების სამსახური. | | |
| ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამა ითვალისწინებს ასპინძის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდებში კულტურის განვითარების ხელშეწყობას: სადღესასწაულო დღეებზე ღონისძიებების, ფესტივალების, სახალხო დღესასწაულების ორგანიზებას,გასართობი-შემოქმედებითი საღამოების ორგანიზებას;<br>კულტურული, ახალგაზრდული პროექტების თანადაფინანსებას;<br>წარმატებული შემოქმედებითი ახალგაზრდებისა და ჯგუფების წახალისებას;<br>კულტურული მემკვიდრეობის დაცვას და შენარჩუნებას;<br>კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას.<br>მოსწავლე-ახალგაზრდებში, ცნობიერების დონის ამაღლება წიგნიერების, კულტურული მემკვიდრეობის, გარემოს დაცვის და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის კუთხით კულტურული და შემოქმედებითი აქტივობების ორგანიზებას ახალგაზრდული იდეების მხარდაჭერას მუნიციპალიტეტის სამომავლო განვითარებისათვის ახალგაზრდების სამოქალაქო აქტივობებში ჩართულობას, ცნობიერების ამაღლება გარემოსდაცვისა და ეკოლოგიის მიმართულებით. ახალგაზრდების მოტივაციის გაზრდას, საგანმანათლებლო ღონისძიებებში აქტიური ჩართვასა და წახალისებას ახალგაზრდებში სასცენო ხელოვნებისა და თეატრის პოპულარიზაციას. ახალგაზრდებში მოტივაციის გაზრდა, რათა სამომავლოდ უფრო მეტი მონდომებით, მეტი რაოდენობით და გაუმჯობესებული ხარისხით იყვნენ წარმოდგენილები ამა თუ იმ კულტურულ, თუ შემოქმედებით კონკურსებზე. ახალგაზრდების ინტელექტუალურ-შემეცნებით უნარების გაზრდას.მოზარდ ახალგაზრდებში პატრიოტული გრძნობისა და სულისკვეთების ამაღლებას. ბავშვთა ჩართულობას საზოგადოებრივ და კულტურულ ცხოვრებაში, ინტელექტუალური უნარების განვითარებასა და ბავშვთა უფლებების დაცვის მიმართულებით საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას.<br><br>ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითერაბა და მოსახლეობის მათ შორის ახალგაზრდებში კულტურული დონის ამაღლება,ახალგაზრდობის გააქტიურება და მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ სამოქალაქო აქტივობებში მეტი ჩართვა, ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება. მათი კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | მუნიციპალიტეტში მასობრივი ღონისძიებების ორგანიზება, ტურისტული პოტენციალის ზრდა, ადგილობრივი ახალგაზრდული შემოქმედებითი ჯგუფების პოპულარიზაცია , მოზარდ ახალგაზრდების კულტურულ ცხოვრებაში აქტიური ჩართულობა, მათი შემოქმედების წარმოჩენა და მოტივაციის გაზრდა . | | |

| | | | |
|---|---|---|---|
| პროგრამის დასახელება | კოდი | რელიგია | 2020 წლისდაფინანსება ათას ლარში |
| | 05 04 | | 60,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე განხორციელდება მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ეკლესია-მონასტრების მიმდებარე ტერიტორიის გაუმჯობესებული იერსახე; | | |

## მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათების უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში განაგრძობს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებისაგან.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 360,0 ათასი ლარი. ჯანმრთელობისდაცვადასოციალურიუზრუნველყოფის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

| პროგრამული კოდი | დასახელება | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | 2020წლის პროექტი |
|---|---|---|---|---|
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 301,2 | 837,0 | 360,0 |
| 06 01 | ჯანდაცვა | 60,0 | 571,0 | 59,0 |
| 06 01 01 | საზოგადოებირვი ჯანდაცვის მომსახურება | 60,0 | 58,6 | 59,0 |
| 06 01 02 | ამბულატორიები | 0,0 | 512,4 | 0,0 |
| 06 02 | სოციალური უზრუნველყოფა | 241,3 | 266,0 | 301,0 |
| 06 02 01 | უფასო სასადილოს დაფინანსება | 34,6 | 40,0 | 40,0 |
| 06 02 02 | სოციალურად დაუცველი, გადახდის უუნარო მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფის ხარჯები, ოპერაციების თანადაფინანსების პროგრამა | 84,2 | 90,0 | 100,0 |
| 06 02 03 | ასპინძის მუნიციპალიტეტში ახალდაბადებულ ბავშვთა დახმარების პროგრამა | 27,6 | 30,0 | 30,0 |
| 06 02 04 | ვეტერანთა და დევნილთა სარიტუალო ხარჯები | 0,0 | 1,0 | 1,0 |
| 06 02 05 | სოციალური დახმარებები | 74,8 | 85,0 | 110,0 |
| 06 02 06 | ა(ა)იპ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრი | 20,0 | 20,0 | 20,0 |

| პროგრამის დასახელება | კოდი | საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამა | დაფინანსება /ათას ლარში/ 2020 წელი |
|---|---|---|---|
| | 06 01 01 | | 59,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი | ა.ა.ი.პ ასპინძის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური ცენტრი | | |
| პროგრამის აღწერა | გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის, სამედიცინო სტატისტიკური მასალის მოპოვება და წარდგენა დკსჯე ცენტრში, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებში სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა,პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა, პრევენციული ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას, გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება; პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ინფექციათა კონტროლისა და | | |

| | |
|---|---|
| | პროფილაქტიკის,სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა და შერჩევითი კონტროლის განხორციელება. წყლის სანიტარიისა და ჰიგიენის რუტინული მონიტორინგი ადრეული და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, ტუბერკულოზისა და "C" ჰეპატიტის მართვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება, თამბაქოს კონტროლის მონიტორინგი. |
| პროგრამის მიზანი | სამოქმედო ტერიტორიაზე მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებების პრევენცია, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ოპერატიული (EPHo-10) ფუნქციების განხორციელების გზით; |
| მოსალოდნელი შედეგი | მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და დაავადებათა პრევენციის გზით შემცირება |

სოციალური უზრუნველყოფა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებულთათვის უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

| პროგრამის დასახელება | კოდი | მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 02 01 | | 40,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახური | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ასპინძის ადმინისტრაციულ ერთეულში რეგისტრირებული უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დღეში ერთჯერადად კვება უფასო სასადილოში. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | უკიდურესად შეჭირვებული მოხუცებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკვების ხელმისაწვდომობაზე მდგომარეობის გაუმჯობესება პროგრამით შესაძლებელი იქნება 50 ბენეფიციარის კვებით უზრუნველყოფა | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | სოციალურად დაუცველი, გადახდის უუნარო მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფის ხარჯები, ოპერაციების თანადაფინანსების პროგრამა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 02 02 | | 100,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის სამსახური | | |
| | პროგრამის მიზნობრივი მიმართულებაა ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამით ან კერძო სადაზღვევო პოლისით, არასრულად დაფინანსებული ან დაფინანსების გარეშე დარჩენილი მოქალაქეების ქირურგიული ოპერაციებისთანადაფინანსება:<br><br>ა. ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები ან/და ბინადრობის უფლების მქონე მოქალაქეების, რომლებიც დარეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა შეადგენს 100 000-ზე ნაკლებს, ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსება შეადგენს: | | |

| | |
|---|---|
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ა.ა. 1000 ლარამდე 50%;<br><br>ა.ბ. 2000 ლარამდე 40%;<br><br>ა.გ. 2000 - 4000 ლარამდე 35%;<br><br>ა.დ. 4 000 ლარიდან ზევით არა უმეტეს 1500 (ერთიათას ხუთასი) ლარისა.<br><br>ბ. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები,ან/და ბინადრობის უფლების მქონე მოქალაქეების, რომლებიც რეგისტრირებული არიან სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში და მათი სარეიტინგო ქულა შეადგენს 75 000-ზე ნაკლებს, ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსება შეადგენს:<br><br>ბ.ა. 500 ლარამდე სრულად;<br><br>ბ.ბ. 500 ლარიდან 1500 ლარამდე 50%;<br><br>ბ.გ. 1 500 ლარიდან 3000 ლარამდე 40%;<br><br>ბ.დ. 3 000 ლარიდან ზემოთ არაუმეტეს 1500 ლარისა.<br><br>2. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და ფაქტობრივად (ბოლო 9 თვის განმავლობაში) მცხოვრები ან/და ბინადრობის უფლების მქონე იმ მოქალაქეების ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსება, რომელთა დასაფინანსებელი თანხა აღემატება 300 (სამას) ლარს, მუნიციპალური თანადაფინანსება შეადგენს:<br><br>ა. 1500 ლარამდე 50%;<br><br>ბ. 2000 ლარამდე 40%;<br><br>გ. 2000-4000 ლარამდე 35%;<br><br>დ. 4000 ლარიდან ზევით არა უმეტეს 1500 (ერთი ათას ხუთასი) ლარისა.<br><br>4. თანადაფინანსება განხორციელდება სამკურნალო დაწესებულებიდან პაციენტის მიერ<br><br>წარმოდგენილი ოპერაციამდელი (წინასწარ გაცემული) და ოპერაციის შემდგომ<br><br>წარმოდგენილი დოკუმენტების შესაბამისად.<br><br>2019 წლის მაჩვენებლით პროგრამით ისარგებლა 98 ბენეფიციარმა. |
| მოსალოდნელი შედეგი | პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება |

| პროგრამის დასახელება | კოდი | ახალდაბადებულ ბავშვთა დახმარების პროგრამა | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 02 03 | | 30,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური. | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ასპინძის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ და რეგისტრირებული ოჯახების ახალდაბადებულ ბავშვთა ერთჯერადი დახმარება. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | პროგრამის მიზნობრივი მიმართულებაა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დემოგრაფიული ფონის გაუმჯობესება | | |

| | კოდი | | 2020 წლის დაფინანსება |
|---|---|---|---|

| პროგრამის დასახელება | | ვეტერანთა და დევნილთა სარიტუალო ხარჯები | ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 02 04 | | 1,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური. | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | პროგრამის მიზნობრივი მიმართულებაა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები „ვეტერანისა“ და „იძულებით გადაადგილებულის“ სტატუსის მქონე გარდაცვლილი მოქალაქეების სარიტუალო ხარჯების დაფარვა, კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმატივის შესაბამისად: „ვეტერანისათვის“ 250 (ორას ორმოცდაათი) და „დევნილისათვის“ 200(ორასი) ლარის ოდენობით ოჯახის წევრის, ნათესავის ან/და მემკვიდრის პირად ანგარიშზე ჩარიცხვით. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | ,,ვეტერანისა და დევნილის,, სტატუსის მქონე გარდაცვლილი მოქალაქეების ოჯახების თანადგომა სარიტუალო თანხის დაფარვაში. | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | სოციალური დახმარებები | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 02 05 | | 110,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახორი. | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: მრავალშვილიანი ოჯახების (არასრულწლოვანი ოთხი და მეტი შვილი) ოჯახების მატერიალური დახმარება; მეორე მსოფლიო ომის ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის და სხვა ქვეყვის ტერიტორიაზე მებრძოლ ომისა და სამხედრო ძალების დაინვალიდებულ ვეტერანთათვის, ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპული, 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპული პირების ოჯახებისათვის; იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების ხარჯი; მუნიციპალიტეტში მცხოვრები 100 წლის და 100 წელს გადაცილებული ხანდაზმულთა დახმარება; დედ–მამით ობოლ არასრულწლოვანთათვის დახმარება; შეზღუდული შესაძლებლობების სტატუსის მქონე არასრულწლოვანთათვის და სხვადასხვა გამონაკლისი შემთხვევებისათვის. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.<br>სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ხელმისაწვდომობა სამედიცინო მომსახურებაზე.<br>მუნიციპალიტეტში მრავალშვილიანი ოჯახების რაოდენობის ზრდა.<br>სოციალურად დაუცველი მოსახლეობის არსებითი საჭიროებითა და ცხოვრების შესაბამისი სტანდარტებით უზრუნველყოფა | | |

| პროგრამის დასახელება | კოდი | ა(ა)იპ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრი | 2020 წლის დაფინანსება ათას ლარში |
|---|---|---|---|
| | 06 02 06 | | 20,0 |
| პროგრამის განმახორციელებელი სამსახური | ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახური. | | |
| პროგრამის აღწერა და მიზანი | ცენტრი უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ დაცვას და უქმნის მათ საჭირო პირობებს განვითარების, შემოქმედებითი და საწარმოო შესაძლებლობების რეალიზაციისათვის. | | |
| მოსალოდნელი შედეგი | შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალური, ეკონომიკური და მორალური მხარდაჭერა, გარემოსთან ადაპტირების შესაძლებლობის გაუმჯობესება. | | |

## მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. ამავე პრიორიტეტიდან ფინანსდება ისეთი ხარჯები, როგორებიცაა სარეზრვო ფონდი, მუნიციპალიტეტის ვალდებულზებების (სესხები, სასამართლო გადაწყვეტილებები) მომსახურება.

პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება. აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო, პრემია, დანამატი და სხვა. ასევე, მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, სესხის მომსახურებას და ვალების დაფარვის ხარჯებს.

ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით ბიუჯეტში შექმნილი სარეზერვო ფონდი შეადგენს 60,0 ათასი ლარს და მისი განკარგვა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების შესაბამისად.

შეიარაღებული ძალების თავდაცვისუნარიანობის ამაღლების მიზნით ხორციელდება მოსწავლეთა პირველადი აღწერა, წვევამდელთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირება და სამედიცინო შემოწმება, ასევე სარეზერვო ძალების მობილიზება.

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2018 წლის ფაქტი | 2019 წლის გეგმა | 2020 წლის პროექტი |
|---|---|---|---|---|
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 1 500,1 | 2 275,2 | 2 217,9 |
| 01 01 | ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 434,8 | 520,9 | 507,6 |
| 01 02 | ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია | 953,5 | 1 563,5 | 1 485,9 |
| 01 03 | ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა | 65,1 | 91,8 | 97,4 |
| 01 04 | საერთო დანიშნულების ხარჯები | 46,7 | 99,0 | 127,0 |

**მუხლი 12. პრიორიტეტების /პროგრამების/ ქვეპროგრამების მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორები**

ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტებით/პროგრამებით/ქვეპროგრამებით მიღწეული შედეგის შეფასების ინდიკატორები ინფორმაციული სახით წარმოდგენილია ბიუჯეტზე თანდართულ პროგრამული ბიუჯეტის დანართში:

ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები ორგანიზაციულ ჭრილში

| ორგ. კოდი | დასახელება | 2018 წლის ფაქტი | | | 2019 წლის გეგმა | | | 2020 წლის პროექტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| | ასპინძის მუნიციპალიტეტი | 8 215,0 | 3 574,4 | 4 640,5 | 11 227,7 | 4 550,2 | 6 677,5 | 7 316,0 | 2 437,9 | 4 878,1 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 85,0 | 0,0 | 85,0 | 94,0 | 0,0 | 94,0 | 94,0 | 0,0 | 94,0 |
| | ხარჯები | 3 287,4 | 0,0 | 3 287,4 | 4 928,2 | 621,4 | 4 306,8 | 4 377,6 | 0,0 | 4 377,6 |
| | შრომის ანაზღაურება | 947,2 | 0,0 | 947,2 | 1 192,9 | 0,0 | 1 192,9 | 1 217,6 | 0,0 | 1 217,6 |
| | საქონელი და მომსახურება | 726,8 | 0,0 | 726,8 | 1 175,8 | 81,8 | 1 094,1 | 1 139,8 | 0,0 | 1 139,8 |
| | პროცენტი | 46,7 | 0,0 | 46,7 | 48,0 | 0,0 | 48,0 | 25,0 | 0,0 | 25,0 |
| | სუბსიდიები | 1 194,4 | 0,0 | 1 194,4 | 1 365,1 | 0,0 | 1 365,1 | 1 423,7 | 0,0 | 1 423,7 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 227,4 | 0,0 | 227,4 | 258,5 | 0,0 | 258,5 | 299,0 | 0,0 | 299,0 |
| | სხვა ხარჯები | 144,9 | 0,0 | 144,9 | 887,9 | 539,6 | 348,3 | 272,5 | 0,0 | 272,5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 4 927,5 | 3 574,4 | 1 353,1 | 6 299,5 | 3 928,8 | 2 370,7 | 2 901,4 | 2 437,9 | 463,5 |
| | ძირითადი აქტივები | 4 927,5 | 3 574,4 | 1 353,1 | 6 299,5 | 3 928,8 | 2 370,7 | 2 901,4 | 2 437,9 | 463,5 |
| | ვალდებულებების კლება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 37,0 | 0,0 | 37,0 |
| | საშინაო | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 37,0 | 0,0 | 37,0 |
| 01 00 | წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება | 1 500,1 | 0,0 | 1 500,1 | 2 275,2 | 16,3 | 2 258,9 | 2 217,9 | 0,0 | 2 217,9 |
| 18 | მომუშავეთა რიცხოვნობა | 85,0 | 0,0 | 85,0 | 94,0 | 0,0 | 94,0 | 94,0 | 0,0 | 94,0 |
| | ხარჯები | 1 452,0 | 0,0 | 1 452,0 | 1 922,0 | 0,0 | 1 922,0 | 1 933,9 | 0,0 | 1 933,9 |
| | შრომის ანაზღაურება | 947,2 | 0,0 | 947,2 | 1 192,9 | 0,0 | 1 192,9 | 1 217,6 | 0,0 | 1 217,6 |
| | საქონელი და მომსახურება | 371,3 | 0,0 | 371,3 | 484,5 | 0,0 | 484,5 | 474,8 | 0,0 | 474,8 |
| | ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | პროცენტი | 46,7 | 0,0 | 46,7 | 48,0 | 0,0 | 48,0 | 25,0 | 0,0 | 25,0 |
| | სუბსიდიები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 6,2 | 0,0 | 6,2 | 12,5 | 0,0 | 12,5 | 18,0 | 0,0 | 18,0 |
| | სხვა ხარჯები | 80,7 | 0,0 | 80,7 | 184,2 | 0,0 | 184,2 | 198,5 | 0,0 | 198,5 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 48,1 | 0,0 | 48,1 | 353,2 | 16,3 | 336,9 | 247,0 | 0,0 | 247,0 |
| | ძირითადი აქტივები | 48,1 | 0,0 | 48,1 | 353,2 | 16,3 | 336,9 | 247,0 | 0,0 | 247,0 |
| | ვალდებულებების კლება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 37,0 | 0,0 | 37,0 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საშინაო | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 37,0 | 0,0 | 37,0 |
| 01 01 | ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულო | 434,9 | 0,0 | 434,9 | 520,9 | 0,0 | 520,9 | 507,6 | 0,0 | 507,6 |
| 18 | მომუშავეთა რიცხოვნობა | 18,0 | | 18,0 | 22,0 | | 22,0 | 22,0 | | 22,0 |
| | ხარჯები | 433,0 | 0,0 | 433,0 | 516,5 | 0,0 | 516,5 | 505,6 | 0,0 | 505,6 |
| | შრომის ანაზღაურება | 309,8 | 0,0 | 309,8 | 354,5 | 0,0 | 354,5 | 354,5 | 0,0 | 354,5 |
| | საქონელი და მომსახურება | 59,2 | 0,0 | 59,2 | 69,0 | 0,0 | 69,0 | 65,1 | 0,0 | 65,1 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 1,8 | 0,0 | 1,8 | 3,0 | 0,0 | 3,0 | 6,0 | 0,0 | 6,0 |
| | სხვა ხარჯები | 62,1 | 0,0 | 62,1 | 90,0 | 0,0 | 90,0 | 80,0 | 0,0 | 80,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1,9 | 0,0 | 1,9 | 4,4 | 0,0 | 4,4 | 2,0 | 0,0 | 2,0 |
| | ძირითადი აქტივები | 1,9 | 0,0 | 1,9 | 4,4 | 0,0 | 4,4 | 2,0 | 0,0 | 2,0 |
| 01 02 | ასპინძის მუნიციპალიტეტის მერია | 953,5 | 0,0 | 953,5 | 1 563,5 | 16,3 | 1 547,2 | 1 485,9 | 0,0 | 1 485,9 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 63,0 | | 63,0 | 68,0 | | 68,0 | 68,0 | | 68,0 |
| | ხარჯები | 907,2 | 0,0 | 907,2 | 1 214,7 | 0,0 | 1 214,7 | 1 240,9 | 0,0 | 1 240,9 |
| | შრომის ანაზღაურება | 604,8 | 0,0 | 604,8 | 796,9 | 0,0 | 796,9 | 815,0 | 0,0 | 815,0 |
| | საქონელი და მომსახურება | 280,6 | 0,0 | 280,6 | 373,1 | 0,0 | 373,1 | 365,9 | 0,0 | 365,9 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 4,4 | 0,0 | 4,4 | 5,0 | 0,0 | 5,0 | 10,0 | 0,0 | 10,0 |
| | სხვა ხარჯები | 17,4 | 0,0 | 17,4 | 39,7 | 0,0 | 39,7 | 50,0 | 0,0 | 50,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 46,2 | 0,0 | 46,2 | 348,8 | 16,3 | 332,5 | 245,0 | 0,0 | 245,0 |
| | ძირითადი აქტივები | 46,2 | 0,0 | 46,2 | 348,8 | 16,3 | 332,5 | 245,0 | 0,0 | 245,0 |
| 01 03 | ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა | 65,1 | 0,0 | 65,1 | 91,8 | 0,0 | 91,8 | 97,4 | 0,0 | 97,4 |
| 6 | მომუშავეთა რიცხოვნობა | 4,0 | | 4,0 | 4,0 | | 4,0 | 4,0 | | 4,0 |
| | ხარჯები | 65,1 | 0,0 | 65,1 | 91,8 | 0,0 | 91,8 | 97,4 | 0,0 | 97,4 |
| | შრომის ანაზღაურება | 32,5 | 0,0 | 32,5 | 41,5 | 0,0 | 41,5 | 48,1 | 0,0 | 48,1 |
| | საქონელი და მომსახურება | 31,4 | 0,0 | 31,4 | 42,4 | 0,0 | 42,4 | 43,8 | 0,0 | 43,8 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 4,5 | 0,0 | 4,5 | 2,0 | 0,0 | 2,0 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სხვა ხარჯები | 1,2 | 0,0 | 1,2 | 3,5 | 0,0 | 3,5 | 3,5 | 0,0 | 3,5 |
| 01 04 | საერთო დანიშნულების ხარჯები | 46,7 | 0,0 | 46,7 | 99,0 | 0,0 | 99,0 | 127,0 | 0,0 | 127,0 |
| | ხარჯები | 46,7 | 0,0 | 46,7 | 99,0 | 0,0 | 99,0 | 90,0 | 0,0 | 90,0 |
| | პროცენტი | 46,7 | 0,0 | 46,7 | 48,0 | 0,0 | 48,0 | 25,0 | 0,0 | 25,0 |
| | სხვა ხარჯები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 51,0 | 0,0 | 51,0 | 65,0 | 0,0 | 65,0 |
| | ვალდებულებების კლება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 37,0 | 0,0 | 37,0 |
| | საშინაო | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 37,0 | 0,0 | 37,0 |
| 01 04 01 | სარეზერვო ფონდი | 0,0 | 0,0 | 0,0 | 49,3 | 0,0 | 49,3 | 60,0 | 0,0 | 60,0 |
| | ხარჯები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 49,3 | 0,0 | 49,3 | 60,0 | 0,0 | 60,0 |
| | სხვა ხარჯები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 49,3 | 0,0 | 49,3 | 60,0 | 0,0 | 60,0 |
| 01 04 02 | წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 01 04 03 | მგფ-ის და სხვა ვალდებულებების დაფარვა | 46,7 | 0,0 | 46,7 | 48,0 | 0,0 | 48,0 | 62,0 | 0,0 | 62,0 |
| | ხარჯები | 46,7 | 0,0 | 46,7 | 48,0 | 0,0 | 48,0 | 25,0 | 0,0 | 25,0 |
| | პროცენტი | 46,7 | 0,0 | 46,7 | 48,0 | 0,0 | 48,0 | 25,0 | 0,0 | 25,0 |
| | ვალდებულებების კლება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 37,0 | 0,0 | 37,0 |
| | საშინაო | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 37,0 | 0,0 | 37,0 |
| 01 04 04 | სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულება და კანონმდებლობის შესაბამისად ჩამოჭრილი თნხები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 1,7 | 0,0 | 1,7 | 5,0 | 0,0 | 5,0 |
| | ხარჯები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 1,7 | 0,0 | 1,7 | 5,0 | 0,0 | 5,0 |
| | სხვა ხარჯები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 1,7 | 0,0 | 1,7 | 5,0 | 0,0 | 5,0 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 4 907,9 | 3 574,4 | 1 333,4 | 5 808,6 | 3 378,6 | 2 430,0 | 3 269,4 | 2 437,9 | 831,5 |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ხარჯები | 318,1 | 0,0 | 318,1 | 1 226,4 | 539,6 | 686,8 | 630,0 | 0,0 | 630,0 |
| | საქონელი და მომსახურება | 88,7 | 0,0 | 88,7 | 293,6 | 0,0 | 293,6 | 320,0 | 0,0 | 320,0 |
| | სუბსიდიები | 218,3 | 0,0 | 218,3 | 305,0 | 0,0 | 305,0 | 310,0 | 0,0 | 310,0 |
| | სხვა ხარჯები | 11,2 | 0,0 | 11,2 | 627,8 | 539,6 | 88,2 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 4 589,7 | 3 574,4 | 1 015,3 | 4 582,2 | 2 839,0 | 1 743,2 | 2 639,4 | 2 437,9 | 201,5 |
| | ძირითადი აქტივები | 4 589,7 | 3 574,4 | 1 015,3 | 4 582,2 | 2 839,0 | 1 743,2 | 2 639,4 | 2 437,9 | 201,5 |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია | 4 561,6 | 3 574,4 | 987,2 | 3 377,3 | 2 220,0 | 1 157,3 | 2 168,2 | 1 901,7 | 266,5 |
| | ხარჯები | 2,4 | 0,0 | 2,4 | 183,9 | 0,0 | 183,9 | 190,0 | 0,0 | 190,0 |
| | საქონელი და მომსახურება | 2,4 | 0,0 | 2,4 | 183,6 | 0,0 | 183,6 | 190,0 | 0,0 | 190,0 |
| | სხვა ხარჯები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,3 | 0,0 | 0,3 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 4 559,2 | 3 574,4 | 984,8 | 3 193,5 | 2 220,0 | 973,5 | 1 978,2 | 1 901,7 | 76,5 |
| | ძირითადი აქტივები | 4 559,2 | 3 574,4 | 984,8 | 3 193,5 | 2 220,0 | 973,5 | 1 978,2 | 1 901,7 | 76,5 |
| 02 02 | კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 305,8 | 0,0 | 305,8 | 1 478,7 | 854,6 | 624,2 | 1 031,2 | 536,2 | 495,0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ხარჯები | 302,4 | 0,0 | 302,4 | 997,0 | 539,6 | 457,4 | 420,0 | 0,0 | 420,0 |
| | საქონელი და მომსახურება | 76,8 | 0,0 | 76,8 | 90,0 | 0,0 | 90,0 | 110,0 | 0,0 | 110,0 |
| | სუბსიდიები | 218,3 | 0,0 | 218,3 | 305,0 | 0,0 | 305,0 | 310,0 | 0,0 | 310,0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 3,4 | 0,0 | 3,4 | 481,7 | 315,0 | 166,8 | 611,2 | 536,2 | 75,0 |
| | ძირითადი აქტივები | 3,4 | 0,0 | 3,4 | 481,7 | 315,0 | 166,8 | 611,2 | 536,2 | 75,0 |
| 02 02 02 | წყლის სისტემების რეაბილიტაცია-ექსპლოატაცია | 0,0 | 0,0 | 0,0 | 7,3 | 0,0 | 7,3 | 596,2 | 536,2 | 60,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 7,3 | 0,0 | 7,3 | 596,2 | 536,2 | 60,0 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ძირითადი აქტივები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 7,3 | 0,0 | 7,3 | 596,2 | 536,2 | 60,0 |
| 02 02 03 | გარე განათების რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია | 161,8 | 0,0 | 161,8 | 324,7 | 0,0 | 324,7 | 220,0 | 0,0 | 220,0 |
| | ხარჯები | 161,8 | 0,0 | 161,8 | 195,0 | 0,0 | 195,0 | 220,0 | 0,0 | 220,0 |
| | საქონელი და მომსახურება | 76,8 | 0,0 | 76,8 | 90,0 | 0,0 | 90,0 | 110,0 | 0,0 | 110,0 |
| | სუბსიდიები | 85,0 | | 85,0 | 105,0 | | 105,0 | 110,0 | | 110,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 129,7 | 0,0 | 129,7 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ძირითადი აქტივები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 129,7 | 0,0 | 129,7 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 02 02 03 01 | აიპ გარე განათება | 85,0 | 0,0 | 85,0 | 105,0 | 0,0 | 105,0 | 110,0 | 0,0 | 110,0 |
| | ხარჯები | 85,0 | 0,0 | 85,0 | 105,0 | 0,0 | 105,0 | 110,0 | 0,0 | 110,0 |
| | სუბსიდიები | 85,0 | | 85,0 | 105,0 | | 105,0 | 110,0 | | 110,0 |
| 02 02 03 02 | გარე განათების ექსპლოატაცია | 76,8 | 0,0 | 76,8 | 219,7 | 0,0 | 219,7 | 110,0 | 0,0 | 110,0 |
| | ხარჯები | 76,8 | 0,0 | 76,8 | 90,0 | 0,0 | 90,0 | 110,0 | 0,0 | 110,0 |
| | საქონელი და მომსახურება | 76,8 | 0,0 | 76,8 | 90,0 | 0,0 | 90,0 | 110,0 | 0,0 | 110,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 129,7 | 0,0 | 129,7 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ძირითადი აქტივები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 129,7 | 0,0 | 129,7 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 02 02 04 | სარწყავი არხების მოწყობა-რეაბილიტაცია | 136,7 | 0,0 | 136,7 | 200,0 | 0,0 | 200,0 | 200,0 | 0,0 | 200,0 |
| | ხარჯები | 133,3 | 0,0 | 133,3 | 200,0 | 0,0 | 200,0 | 200,0 | 0,0 | 200,0 |
| | სუბსიდიები | 133,3 | | 133,3 | 200,0 | 0,0 | 200,0 | 200,0 | | 200,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 3,4 | 0,0 | 3,4 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ძირითადი აქტივები | 3,4 | 0,0 | 3,4 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 02 02 05 | ბინათმშენებლობა | 7,3 | 0,0 | 7,3 | 602,0 | 539,6 | 62,4 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ხარჯები | 7,3 | 0,0 | 7,3 | 602,0 | 539,6 | 62,4 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | სხვა ხარჯები | 7,3 | 0,0 | 7,3 | 602,0 | 539,6 | 62,4 | 0,0 | 0,0 | 0,0 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02 02 06 | მდინარის ნაპირსამაგრი სამუშაოები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 344,8 | 315,0 | 29,8 | 15,0 | 0,0 | 15,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 344,8 | 315,0 | 29,8 | 15,0 | 0,0 | 15,0 |
| | ძირითადი აქტივები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 344,8 | 315,0 | 29,8 | 15,0 | 0,0 | 15,0 |
| 02 03 | საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა | 40,5 | 0,0 | 40,5 | 415,0 | 0,0 | 415,0 | 20,0 | 0,0 | 20,0 |
| | ხარჯები | 13,4 | 0,0 | 13,4 | 45,5 | 0,0 | 45,5 | 20,0 | 0,0 | 20,0 |
| | საქონელი და მომსახურება | 9,5 | 0,0 | 9,5 | 20,0 | 0,0 | 20,0 | 20,0 | 0,0 | 20,0 |
| | სხვა ხარჯები | 3,9 | 0,0 | 3,9 | 25,5 | 0,0 | 25,5 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 27,1 | 0,0 | 27,1 | 369,5 | 0,0 | 369,5 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ძირითადი აქტივები | 27,1 | 0,0 | 27,1 | 369,5 | 0,0 | 369,5 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 02 04 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 537,5 | 304,0 | 233,5 | 50,0 | 0,0 | 50,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 537,5 | 304,0 | 233,5 | 50,0 | 0,0 | 50,0 |
| | ძირითადი აქტივები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 537,5 | 304,0 | 233,5 | 50,0 | 0,0 | 50,0 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 228,5 | 0,0 | 228,5 | 272,3 | 0,0 | 272,3 | 280,0 | 0,0 | 280,0 |
| | ხარჯები | 228,5 | 0,0 | 228,5 | 272,3 | 0,0 | 272,3 | 280,0 | 0,0 | 280,0 |
| | საქონელი და მომსახურება | 228,5 | 0,0 | 228,5 | 272,3 | 0,0 | 272,3 | 280,0 | 0,0 | 280,0 |
| 03 02 | დასუფთავების ღონისძიებები | 228,5 | 0,0 | 228,5 | 272,3 | 0,0 | 272,3 | 280,0 | 0,0 | 280,0 |
| | ხარჯები | 228,5 | 0,0 | 228,5 | 272,3 | 0,0 | 272,3 | 280,0 | 0,0 | 280,0 |
| | საქონელი და მომსახურება | 228,5 | 0,0 | 228,5 | 272,3 | 0,0 | 272,3 | 280,0 | 0,0 | 280,0 |
| 04 00 | განათლება | 419,7 | 0,0 | 419,7 | 1 379,5 | 669,2 | 710,3 | 497,7 | 0,0 | 497,7 |
| | ხარჯები | 414,4 | 0,0 | 414,4 | 546,9 | 81,8 | 465,1 | 497,7 | 0,0 | 497,7 |
| | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 81,8 | 81,8 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | სუბსიდიები | 414,4 | 0,0 | 414,4 | 465,1 | 0,0 | 465,1 | 497,7 | 0,0 | 497,7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 5,3 | 0,0 | 5,3 | 832,6 | 587,4 | 245,2 | 0,0 | 0,0 | 0,0 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ძირითადი აქტივები | 5,3 | 0,0 | 5,3 | 832,6 | 587,4 | 245,2 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 04 01 | სკოლამდელი განათლება | 419,7 | 0,0 | 419,7 | 793,9 | 277,4 | 516,5 | 497,7 | 0,0 | 497,7 |
| | ხარჯები | 414,4 | 0,0 | 414,4 | 465,1 | 0,0 | 465,1 | 497,7 | 0,0 | 497,7 |
| | სუბსიდიები | 414,4 | 0,0 | 414,4 | 465,1 | 0,0 | 465,1 | 497,7 | 0,0 | 497,7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 5,3 | 0,0 | 5,3 | 328,8 | 277,4 | 51,4 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ძირითადი აქტივები | 5,3 | 0,0 | 5,3 | 328,8 | 277,4 | 51,4 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 04 01 01 | ასპინძის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანება | 419,7 | 0,0 | 419,7 | 470,5 | 0,0 | 470,5 | 497,7 | 0,0 | 497,7 |
| | ხარჯები | 414,4 | 0,0 | 414,4 | 465,1 | 0,0 | 465,1 | 497,7 | 0,0 | 497,7 |
| | სუბსიდიები | 414,4 | | 414,4 | 465,1 | | 465,1 | 497,7 | | 497,7 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 5,3 | 0,0 | 5,3 | 5,4 | 0,0 | 5,4 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ძირითადი აქტივები | 5,3 | 0,0 | 5,3 | 5,4 | 0,0 | 5,4 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 04 01 02 | ბაღების რეაბილიტაცია | 0,0 | 0,0 | 0,0 | 323,4 | 277,4 | 46,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 323,4 | 277,4 | 46,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ძირითადი აქტივები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 323,4 | 277,4 | 46,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 04 03 | საჯარო სკოლები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 585,6 | 391,8 | 193,9 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ხარჯები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 81,8 | 81,8 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | საქონელი და მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 81,8 | 81,8 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 503,9 | 310,0 | 193,9 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ძირითადი აქტივები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 503,9 | 310,0 | 193,9 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 04 03 01 | ზოგადი საჯარო სკოლები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 585,6 | 391,8 | 193,9 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ხარჯები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 81,8 | 81,8 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | საქონელი და | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | მომსახურება | 0,0 | 0,0 | 0,0 | 81,8 | 81,8 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 503,9 | 310,0 | 193,9 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ძირითადი აქტივები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 503,9 | 310,0 | 193,9 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 05 00 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი | 857,5 | 0,0 | 857,5 | 655,1 | 0,0 | 655,1 | 691,0 | 0,0 | 691,0 |
| | ხარჯები | 573,1 | 0,0 | 573,1 | 636,0 | 0,0 | 636,0 | 676,0 | 0,0 | 676,0 |
| | საქონელი და მომსახურება | 38,4 | 0,0 | 38,4 | 43,7 | 0,0 | 43,7 | 65,0 | 0,0 | 65,0 |
| | სუბსიდიები | 481,8 | 0,0 | 481,8 | 516,4 | 0,0 | 516,4 | 537,0 | 0,0 | 537,0 |
| | სხვა ხარჯები | 53,0 | 0,0 | 53,0 | 75,9 | 0,0 | 75,9 | 74,0 | 0,0 | 74,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 283,0 | 0,0 | 284,4 | 19,1 | 0,0 | 19,1 | 15,0 | 0,0 | 15,0 |
| | ძირითადი აქტივები | 284,4 | 0,0 | 284,4 | 19,1 | 0,0 | 19,1 | 15,0 | 0,0 | 15,0 |
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 175,8 | 0,0 | 175,8 | 198,6 | 0,0 | 198,6 | 204,0 | 0,0 | 204,0 |
| | ხარჯები | 175,6 | 0,0 | 175,6 | 198,6 | 0,0 | 198,6 | 204,0 | 0,0 | 204,0 |
| | საქონელი და მომსახურება | 3,5 | 0,0 | 3,5 | 5,7 | 0,0 | 5,7 | 5,0 | 0,0 | 5,0 |
| | სუბსიდიები | 170,0 | 0,0 | 170,0 | 190,0 | 0,0 | 190,0 | 195,0 | 0,0 | 195,0 |
| | სხვა ხარჯები | 2,0 | 0,0 | 2,0 | 2,9 | 0,0 | 2,9 | 4,0 | 0,0 | 4,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0,2 | 0,0 | 0,2 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ძირითადი აქტივები | 0,2 | 0,0 | 0,2 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 05 01 01 | სპორტული ღონისძიებების ხელშეწყობა | 5,5 | 0,0 | 5,5 | 8,6 | 0,0 | 8,6 | 9,0 | 0,0 | 9,0 |
| | ხარჯები | 5,5 | 0,0 | 5,5 | 8,6 | 0,0 | 8,6 | 9,0 | 0,0 | 9,0 |
| | საქონელი და მომსახურება | 3,5 | 0,0 | 3,5 | 5,7 | 0,0 | 5,7 | 5,0 | 0,0 | 5,0 |
| | სხვა ხარჯები | 2,0 | 0,0 | 2,0 | 2,9 | 0,0 | 2,9 | 4,0 | 0,0 | 4,0 |
| 05 01 02 | სპორტული ორგანიზაციების ხელშეწყობა | 170,3 | 0,0 | 170,3 | 190,0 | 0,0 | 190,0 | 195,0 | 0,0 | 195,0 |
| | ხარჯები | 170,0 | 0,0 | 170,0 | 190,0 | 0,0 | 190,0 | 195,0 | 0,0 | 195,0 |
| | სუბსიდიები | 170,0 | 0,0 | 170,0 | 190,0 | 0,0 | 190,0 | 195,0 | 0,0 | 195,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0,2 | 0,0 | 0,2 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ძირითადი აქტივები | 0,2 | 0,0 | 0,2 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 05 01 02 01 | სპორტული კლუბი | 10,0 | 0,0 | 10,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ხარჯები | 10,0 | 0,0 | 10,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | სუბსიდიები | 10,0 | | 10,0 | 0,0 | | | 0,0 | | |
| 05 01 02 02 | ა(ა)იპ ასპინძის სასპორტო გაერთიანება | 110,3 | 0,0 | 110,3 | 130,0 | 0,0 | 130,0 | 135,0 | 0,0 | 135,0 |
| | ხარჯები | 110,1 | 0,0 | 110,1 | 130,0 | 0,0 | 130,0 | 135,0 | 0,0 | 135,0 |
| | სუბსიდიები | 110,1 | | 110,1 | 130,0 | | 130,0 | 135,0 | | 135,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0,2 | 0,0 | 0,2 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ძირითადი აქტივები | 0,2 | 0,0 | 0,2 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 05 01 02 03 | ა(ა)იპ სამცხე-ჯავახეთის რეგიონული სარაგბო კლუბი ტაო | 50,0 | 0,0 | 50,0 | 60,0 | 0,0 | 60,0 | 60,0 | 0,0 | 60,0 |
| | ხარჯები | 50,0 | 0,0 | 50,0 | 60,0 | 0,0 | 60,0 | 60,0 | 0,0 | 60,0 |
| | სუბსიდიები | 50,0 | | 50,0 | 60,0 | | 60,0 | 60,0 | | 60,0 |
| 05 02 | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 595,1 | 0,0 | 595,1 | 345,5 | 0,0 | 345,5 | 357,0 | 0,0 | 357,0 |
| | ხარჯები | 311,7 | 0,0 | 311,7 | 326,4 | 0,0 | 326,4 | 342,0 | 0,0 | 342,0 |
| | სუბსიდიები | 301,2 | 0,0 | 311,7 | 326,4 | 0,0 | 326,4 | 342,0 | 0,0 | 342,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 282,0 | 0,0 | 283,4 | 19,1 | 0,0 | 19,1 | 15,0 | 0,0 | 15,0 |
| | ძირითადი აქტივები | 282,7 | 0,0 | 283,4 | 19,1 | 0,0 | 19,1 | 15,0 | 0,0 | 15,0 |
| 05 02 01 | კულტურის ორგანიზაციების ხელშეწყობა | 595,1 | 0,0 | 595,1 | 345,5 | 0,0 | 345,5 | 357,0 | 0,0 | 357,0 |
| | ხარჯები | 311,7 | 0,0 | 311,7 | 326,4 | 0,0 | 326,4 | 342,0 | 0,0 | 342,0 |
| | სუბსიდიები | 301,2 | 0,0 | 311,7 | 326,4 | 0,0 | 326,4 | 342,0 | 0,0 | 342,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 282,0 | 0,0 | 283,4 | 19,1 | 0,0 | 19,1 | 15,0 | 0,0 | 15,0 |
| | ძირითადი აქტივები | 282,7 | 0,0 | 283,4 | 19,1 | 0,0 | 19,1 | 15,0 | 0,0 | 15,0 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 05 02 01 01 | ასპინძის კულტურისა და ხელოვნების ცენტრი | 10,1 | 0,0 | 10,1 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ხარჯები | 10,1 | 0,0 | 10,1 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | სუბსიდიები | 10,1 | | 10,1 | 0,0 | | | 0,0 | | |
| 05 02 01 02 | ა(ა)იპ ასპინძის სახელოვნებო და სამუზეუმო დაწესებულებათა გაერთიანება-კულტურის ცენტრი | 143,8 | 0,0 | 143,8 | 170,0 | 0,0 | 170,0 | 170,0 | 0,0 | 170,0 |
| | ხარჯები | 143,1 | 0,0 | 143,1 | 163,9 | 0,0 | 163,9 | 170,0 | 0,0 | 170,0 |
| | სუბსიდიები | 143,1 | | 143,1 | 163,9 | | 163,9 | 170,0 | | 170,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0,7 | 0,0 | 0,7 | 6,1 | 0,0 | 6,1 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ძირითადი აქტივები | 0,7 | 0,0 | 0,7 | 6,1 | 0,0 | 6,1 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 05 02 01 03 | მთავარი ბიბლიოთეკა | 60,9 | 0,0 | 60,9 | 65,0 | 0,0 | 65,0 | 65,0 | 0,0 | 65,0 |
| | ხარჯები | 59,5 | 0,0 | 59,5 | 62,5 | 0,0 | 62,5 | 65,0 | 0,0 | 65,0 |
| | სუბსიდიები | 46,5 | 0,0 | 59,5 | 62,5 | | 62,5 | 65,0 | | 65,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 1,4 | 0,0 | 1,4 | 2,5 | 0,0 | 2,5 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ძირითადი აქტივები | 1,4 | 0,0 | 1,4 | 2,5 | 0,0 | 2,5 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 05 02 01 04 | სახელოვნებო სკოლები | 97,0 | 0,0 | 97,0 | 100,0 | 0,0 | 100,0 | 107,0 | 0,0 | 107,0 |
| | ხარჯები | 97,0 | 0,0 | 97,0 | 100,0 | 0,0 | 100,0 | 107,0 | 0,0 | 107,0 |
| | სუბსიდიები | 99,5 | | 97,0 | 100,0 | | 100,0 | 107,0 | | 107,0 |
| 05 02 01 05 | ასპინძის შ.რუსთაველის სახელობის სახალხო მუზეუმი | 2,0 | 0,0 | 2,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ხარჯები | 2,0 | 0,0 | 2,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | სუბსიდიები | 2,0 | | 2,0 | 0,0 | | | 0,0 | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 05 02 01 07 | კულტურის ობიექტების მშენებლობა | 281,3 | 0,0 | 281,3 | 10,5 | 0,0 | 10,5 | 15,0 | 0,0 | 15,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 281,3 | 0,0 | 281,3 | 10,5 | 0,0 | 10,5 | 15,0 | 0,0 | 15,0 |
| | ძირითადი აქტივები | 281,3 | 0,0 | 281,3 | 10,5 | 0,0 | 10,5 | 15,0 | 0,0 | 15,0 |
| 05 03 | ახალგაზრდული ორგანიზაციების დაფინანსება | 36,7 | 0,0 | 36,7 | 46,0 | 0,0 | 46,0 | 70,0 | 0,0 | 70,0 |
| | ხარჯები | 35,9 | 0,0 | 35,9 | 46,0 | 0,0 | 46,0 | 70,0 | 0,0 | 70,0 |
| | საქონელი და მომსახურება | 34,9 | 0,0 | 34,9 | 38,0 | 0,0 | 38,0 | 60,0 | 0,0 | 60,0 |
| | სხვა ხარჯები | 1,0 | 0,0 | 1,0 | 8,0 | 0,0 | 8,0 | 10,0 | 0,0 | 10,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0,8 | 0,0 | 0,8 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ძირითადი აქტივები | 0,8 | 0,0 | 0,8 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 05 04 | რელიგია | 50,0 | 0,0 | 50,0 | 65,0 | 0,0 | 65,0 | 60,0 | 0,0 | 60,0 |
| | ხარჯები | 50,0 | 0,0 | 50,0 | 65,0 | 0,0 | 65,0 | 60,0 | 0,0 | 60,0 |
| | სხვა ხარჯები | 50,0 | 0,0 | 50,0 | 65,0 | 0,0 | 65,0 | 60,0 | 0,0 | 60,0 |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 301,2 | 0,0 | 301,2 | 837,0 | 486,1 | 350,9 | 360,0 | 0,0 | 360,0 |
| | ხარჯები | 301,2 | 0,0 | 301,2 | 324,6 | 0,0 | 324,6 | 360,0 | 0,0 | 360,0 |
| | სუბსიდიები | 80,0 | 0,0 | 80,0 | 78,6 | 0,0 | 78,6 | 79,0 | 0,0 | 79,0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 221,3 | 0,0 | 221,3 | 246,0 | 0,0 | 246,0 | 281,0 | 0,0 | 281,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 512,4 | 486,1 | 26,3 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ძირითადი აქტივები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 512,4 | 486,1 | 26,3 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 06 01 | ჯანდაცვა | 60,0 | 0,0 | 60,0 | 571,0 | 486,1 | 84,9 | 59,0 | 0,0 | 59,0 |
| | ხარჯები | 60,0 | 0,0 | 60,0 | 58,6 | 0,0 | 58,6 | 59,0 | 0,0 | 59,0 |
| | სუბსიდიები | 60,0 | 0,0 | 60,0 | 58,6 | 0,0 | 58,6 | 59,0 | 0,0 | 59,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 512,4 | 486,1 | 26,3 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ძირითადი აქტივები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 512,4 | 486,1 | 26,3 | 0,0 | 0,0 | 0,0 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 06 01 01 | საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება | 60,0 | 0,0 | 60,0 | 58,6 | 0,0 | 58,6 | 59,0 | 0,0 | 59,0 |
| | ხარჯები | 60,0 | 0,0 | 60,0 | 58,6 | 0,0 | 58,6 | 59,0 | 0,0 | 59,0 |
| | სუბსიდიები | 60,0 | | 60,0 | 58,6 | 0,0 | 58,6 | 59,0 | | 59,0 |
| 06 01 02 | ამბულატორიები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 512,4 | 486,1 | 26,3 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 512,4 | 486,1 | 26,3 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| | ძირითადი აქტივები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 512,4 | 486,1 | 26,3 | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| 06 02 | სოციალური უზრუნველყოფა | 241,3 | 0,0 | 241,3 | 266,0 | 0,0 | 266,0 | 301,0 | 0,0 | 301,0 |
| | ხარჯები | 241,3 | 0,0 | 241,3 | 266,0 | 0,0 | 266,0 | 301,0 | 0,0 | 301,0 |
| | სუბსიდიები | 20,0 | 0,0 | 20,0 | 20,0 | 0,0 | 20,0 | 20,0 | 0,0 | 20,0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 221,3 | 0,0 | 221,3 | 246,0 | 0,0 | 246,0 | 281,0 | 0,0 | 281,0 |
| 06 02 01 | უფასო სასადილოს დაფინანსება | 34,6 | 0,0 | 34,6 | 40,0 | 0,0 | 40,0 | 40,0 | 0,0 | 40,0 |
| | ხარჯები | 34,6 | 0,0 | 34,6 | 40,0 | 0,0 | 40,0 | 40,0 | 0,0 | 40,0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 34,6 | 0,0 | 34,6 | 40,0 | 0,0 | 40,0 | 40,0 | 0,0 | 40,0 |
| 06 02 02 | სოციალურად დაუცველი, გადახდის უუნარო მოსახლეობის სამედიცინო უზრუნველყოფის ხარჯები, ოპერაციების თანადაფინანსების პროგრამა | 84,2 | 0,0 | 84,2 | 90,0 | 0,0 | 90,0 | 100,0 | 0,0 | 100,0 |
| | ხარჯები | 84,2 | 0,0 | 84,2 | 90,0 | 0,0 | 90,0 | 100,0 | 0,0 | 100,0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 84,2 | 0,0 | 84,2 | 90,0 | 0,0 | 90,0 | 100,0 | 0,0 | 100,0 |
| 06 02 03 | ასპინძის მუნიციპალიტეტში ახალდაბადებულ ბავშვთა დახმარების პროგრამა | 27,6 | 0,0 | 27,6 | 30,0 | 0,0 | 30,0 | 30,0 | 0,0 | 30,0 |
| | ხარჯები | 27,6 | 0,0 | 27,6 | 30,0 | 0,0 | 30,0 | 30,0 | 0,0 | 30,0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 27,6 | 0,0 | 27,6 | 30,0 | 0,0 | 30,0 | 30,0 | 0,0 | 30,0 |
| 06 02 04 | ვეტერანთა და დევნილთა სარიტუალო ხარჯები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 1,0 | 0,0 | 1,0 | 1,0 | 0,0 | 1,0 |
| | ხარჯები | 0,0 | 0,0 | 0,0 | 1,0 | 0,0 | 1,0 | 1,0 | 0,0 | 1,0 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სოციალური უზრუნველყოფა | 0,0 | 0,0 | 0,0 | 1,0 | 0,0 | 1,0 | 1,0 | 0,0 | 1,0 |
| 06 02 05 | სოციალური დახმარებები | 74,8 | 0,0 | 74,8 | 85,0 | 0,0 | 85,0 | 110,0 | 0,0 | 110,0 |
| | ხარჯები | 74,8 | 0,0 | 74,8 | 85,0 | 0,0 | 85,0 | 110,0 | 0,0 | 110,0 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 74,8 | 0,0 | 74,8 | 85,0 | 0,0 | 85,0 | 110,0 | 0,0 | 110,0 |
| 06 02 06 | ა(ა)იპ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების დაცვის ცენტრი | 20,0 | 0,0 | 20,0 | 20,0 | 0,0 | 20,0 | 20,0 | 0,0 | 20,0 |
| | ხარჯები | 20,0 | 0,0 | 20,0 | 20,0 | 0,0 | 20,0 | 20,0 | 0,0 | 20,0 |
| | სუბსიდიები | 20,0 | | 20,0 | 20,0 | | 20,0 | 20,0 | | 20,0 |

## თავი V
## მარეგულირებელი ნორმები

**მუხლი 13. ასიგნებების დაფინანსება**

ასპინძის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსება გაგრძელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო (ელექტრონული) სისტემის მეშვეობით.

**მუხლი 14. ასიგნებების გადანაწილება**

ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში განხორციელდეს დამტკიცებული წლიური ასიგნებების ფარგლებში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის და ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის თანახმად.

**მუხლი 15. კანონმდებლობით განსაზღვრული ფულადი ჯილდო, დანამატი და სხვა გასაცემლების ანაზღაურება**

2020 წლის განმავლობაში ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოსამსახურეებზე საქართველოს კანომდებლობით განსაზღვრული ფულადი ჯილდო, დანამატი და სხვა ანაზღაურება გაიცეს მათთვის შესაბამისი ბიუჯეტებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

**მუხლი 16. სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებზე ზედამხედველობა**

ასპინძის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელება, ამ პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი (ინსპექტირება), დაევალოთ მერიის სამსახურებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**მუხლი 17. პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციები**

პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების ნუსხა დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის მერის მიერ და მასვე მიენიჭოს ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება.

**მუხლი 18. დავალიანებების ანაზღაურება**

მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამული კოდი 01 04 02-დან

დაფინანსდება წინა წლების დავალიანებები, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იძულებით ჩამოჭრილი თანხები და მუნიციპალიტეტის მიერ აღიარებული ვალდებულებები.

**მუხლი 19. მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელებისათვის**
დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 130,0 ათასი ლარი, მიიმართოს:
ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 59,0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 70,0 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა, იძულებით გადაადგილებულ პირთა სარიტუალო მომსახურების საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის - 1,0 ათასი ლარი

**მუხლი 20. სარეზერვო ფონდი**
2020 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვროს 60,0 ათასი ლარის ოდენობით, სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

**მუხლი 21. ბიუჯეტის ამოქმედება**
1. დადგენილებით დამტკიცებული ასპინძის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი ამოქმედდეს 2020 წლის 1 იანვრიდან.
2. ასპინძის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ასპინძის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ასპინძის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 21 დეკემბრის №71 დადგენილება. (www.matsne.gov.ge, 24/12/2018წ, 190020020.35.140.016376);

ასპინძის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

მამუკა მელიქიძე